

მაია შამუგია ეკატერინე ჭელიძე ანა ანუშიძე
მარინა ონიანი სოფიო გორგიჯანიძე
დარეჯან ფალავა იამზე ეცეტაძე

ბეობრაფია 10

მასწავლებლის წიგნი

I ნაწილი

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2022 წელს



გამომცემლობა „კლიო“

ბეობრია

მია შამუგია, ეკატერინე ჭელიძე, ანა ანუშიძე, მარინა ონიანი,
სოფიო გორგიჯანიძე, დარეჯან ფალავა, იამზე ეცეტაძე

X კლასი, მასწავლებლის ნიგნი

რედაქტორი მანონ ლუდუშაური

კომპიუტერული დიზაინი

ელენე ვარამაშვილი


© გამომცემლობა „კლიო“, 2022

© მია შამუგია, ეკატერინე ჭელიძე, ანა ანუშიძე,
სოფიო გორგიჯანიძე, მარინა ონიანი,
დარეჯან ფალავა, იამზე ეცეტაძე, 2022

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-496-29-5

პირველი გამოცემა – 2022



შპს „გამომცემლობა კლიო“

აღმაშენებლის გამზ., №181,

თბილისი, 0112

ტელ.: (+995 32) 234 04 30

E-mail: book@klio.ge; www.klio.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	4
სახელმძღვანელოს კონცეფცია	4
სახელმძღვანელოს შინაარსი	5
ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები	6
გეოგრაფია. საშუალო საფეხურის სტანდარტი	8
მოსწავლის წიგნში გამოყენებული პირობითი ნიშნები	10
მოსწავლის წიგნის სარჩევი	11
სასწავლო კურიკულუმი – განვითარების გზა დასახული მიზნებისკენ	12
თემატური მატრიცები	20
შეფასება	34
მოსწავლის წიგნში მოცემული კითხვებისა და დავალებების პასუხები	36
მოსწავლის რვეულში მოცემული დავალებათა პასუხები	42
მეთოდური ლიტერატურა და ინტერნეტრესურსები	62

შესავალი

X კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელოსათვის შეიქმნა მასწავლებლის წიგნი, როგორც მეთოდური დამხმარე რესურსი. ის შედგება სამი ნაწილისაგან:

- ზოგადი ნაწილი;
- შესასწავლი თემების სასწავლო თემატური ერთეულები; III – დამატებითი მასალა.

თითოეული საკითხის შესწავლისათვის წიგნში წარმოდგენილი მეთოდები, აქტივობები, რესურსები თუ კომპლექსური დავალებები შემოთავაზებულია სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად. თქვენ გეძლევათ საშუალება, გაიზიაროთ, თქვენს სასწავლო გარემოს მოარგოთ ან, საჭიროებისამებრ შეცვალოთ თემატურ ერთეულებში განერილი სწავლა-სწავლების პროცესი.

მოქმედი სტანდარტის მიხედვით, X კლასში შეისწავლება გეოგრაფია. აღნიშნულ კურსში თემების შესწავლას ეთმობა კვირაში 2 სთ.

თქვენ გექნებათ საშუალება, მიზანმიმართულად დაგეგმოთ სასწავლო პროცესი. გისურვებთ წარმატებას!

სახელმძღვანელოს კონცეფცია

სახელმძღვანელოს მიზანია, გააცნოს მოსწავლეებს დედამიწაზე მიმდინარე პროცესები და თითოეულ პროცესთან დაკავშირებული მოკლევადიანი, თუ გრძელვადიანი შედეგები.

სახელმძღვანელოში განხილულმა თემებმა და შესრულებულმა დავალებებმა მოსწავლეებს უნდა გაააზრებინოს ბუნებასთან ადამიანის თანაცხოვრების, დაზიანებული გარემოს აღდგენისა და შენარჩუნების აუცილებლობა. თანამედროვე ადამიანი, როგორც მოქალაქე, უნდა აცნობიერებდეს, რომ ადამიანი არა მარტო ბუნებრივი რესურსების მომხმარებელია, არამედ მისი შემქმნელიცაა. ასეთ მიზნებზე აწყობილი სახელმძღვანელოს შინაარსი უზრუნველყოფს მოზარდის რაციონალურ აზროვნებასა და ბუნებისადმი მზრუნველ დამოკიდებულებას.

სახელმძღვანელოს ამოცანებია, მოსწავლეს:

- ხელი შეუწყოს, აღიქვას, გაიგოს და გააზროს დედამიწაზე მიმდინარე ფიზიკურ-გეოგრაფიული პროცესები და მოვლენები;
- ჩამოუყალიბოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- განუვითაროს გეოგრაფიული კვლევისა და ანალიზის უნარი;
- ჩამოაყალიბოს სხვადასხვა წყარო მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და განსხვავებულ ფორმატში წარმოდგენის უნარი;
- განუმტკიცოს ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო მიზნებისათვის გამოყენების უნარი;
- უზრუნველყოს კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება.

სახელმძღვანელოს შინაარსი

მოქმედი სტანდარტის მიხედვით მე-10 კლასში შეისწავლება გეოგრაფიის კურსი, რომელიც მოიცავს 2 თემას:

1. გლობალური დემოგრაფიული გამოწვევები და ცვლილებები – პირველ სემესტრში;
2. რესურსების გამოყენებისა და მართვის გლობალური კანონზომიერებები – მეორე სემესტრში.

პირველ სემესტრში განიხილება მოსახლეობა და მეურნეობა.

წლიური პროგრამა პირველ სემესტრში, სავარაუდოდ, მოიცავს 30 საათს;

იმ პარაგრაფში, რომელშიც ვრცელი მასალაა მოცემული, მასწავლებელს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ მასალა დაეყოს გაკვეთილებად.

თითოეული პარაგრაფი შედგება საორიენტაციო შეკითხვებისა და შინაარსთან დაკავშირებული მრავალფეროვანი თვალსაჩინო მასალისაგან. პარაგრაფის ბოლოში კი მოცემულია გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები. ასევე, ინტერაქტიური დავალებები და კომპლექსური დავალების ბარათები, რითაც მოსწავლე ავლენს დასწავლის ხარისხს.

სასწავლო მასალა დაწერილია საინტერესოდ, მარტივი და გასაგები ენით, შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს.

მოსწავლე ეცნობა საინტერესო ფაქტებსა და ცხოვრებისეულ მაგალითებს, რომლებიც იწვევს მის ინტერესს გარემოში მიმდინარე პროცესებისადმი. ნაცნობი მაგალითების განხილვა მას განაწყობს, მეტი გულისყურით დააკვირდეს გარესამყაროს, დაფიქრდეს იმ მიზეზებზე, რაც ბუნებაში იწვევს ცვლილებებს, გააანალიზოს პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ან შეუშლის ამ ცვლილებებს.

სახელმძღვანელოში არის თვალსაჩინო მასალა რუკების, ცხრილების, სქემების, გრაფიკების, ფოტომასალის, ილუსტრაციების სახით.

სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები მოსწავლეს საშუალებას მისცემს:

- 1) შეიძინოს ცოდნა და უნარ-ჩვევები;
- 2) შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით გააკეთოს აღმოჩენა;
- 3) მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციაში.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაქართველო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:

მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისანვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

სასკოლო განათლებამ მოზარდს უნდა ჩამოუყალიბოს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს, არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის მათაც, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:

დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ძირითადი საშუალებები:

მოზარდის ზემოთ აღწერილი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის საქართველოს სახელმწიფო კისრულობს პასუხისმგებლობას, შეიმუშაოს და დანერგოს:

1. ზოგადი განათლების პოლიტიკა და კანონმდებლობა

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკითა და კანონმდებლობით განისაზღვრება როგორც სასკოლო განათლების სფეროში ჩაბმული მხარეთა უფლებები და მოვალეობები, ისე მიზნების მიღწევის ძირითადი გზები და საშუალებებიც.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემა

ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემას ქმნიან სხვადასხვა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა და დაფინანსების წყაროების მქონე დამოუკიდებელი იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ საგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მართვის პრინციპებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის, სასკოლო წესდებების მიხედვით. სასკოლო სისტემა მოიცავს მუდმივად განვითარებად მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს.

3. ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემის რეგულირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

სასკოლო სისტემის მართვის აუცილებელი კომპონენტებია: ლიცენზირება, აკრედიტაცია და ატესტაცია; სკოლის ადმინისტრაციული, ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის განვითარება; სასკოლო სისტემის მართვის ძირითადი ფორმების განსაზღვრა და მათი შესრულების უზრუნველყოფა; ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და ფუნქციონირების ხარისხის შეფასება; ეროვნული შეფასებისა და საგამოცდო სისტემების შექმნა და მართვა.

4. ეროვნული სასწავლო გეგმა

ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების საფუძველზე. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს: მოსწავლეთა დატვირთვის აუცილებელ მოცულობას; ცოდნის განვითარების ზოგად ხერხებს; საჭირო ინფორმაციის მოცულობასა და შესაბამის უნარ-ჩვევებს თითოეული საფეხურის დამთავრებისას; საგნებსა და პრიორიტეტებს სასკოლო განათლების ყველა საფეხურზე.

საზოგადოებრივი აქტიურობისა და არსებული რესურსების ეფექტიანი ამოქმედების გარეშე ეს ცალკეული საშუალებები ვერ უზრუნველყოფს მოზარდში ზემოჩამოთვლილ უნარ-ჩვევათა სრულყოფილ განვითარებას. ამიტომ ამ ჩვევების გამომუშავება უნდა მოხდეს სასკოლო გარემოს სრული ჩართვით: მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების, ადმინისტრატორებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით ისეთ განსხვავებულ პირობებში, როგორებიცაა გამოცდები თუ არჩევნები, საკლასო ოთახი თუ სახლი, კლუბი, სპორტული დარბაზი, სკოლის ეზო თუ სახელოსნო. მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, დირექციისა თუ საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს მიზნების მიღწევის ხარისხსა და წარმატებულობას.

სახელმწიფო მიზნად ისახავს ისეთი სასკოლო სისტემის შექმნას, რომელიც თითოეულ მოსწავლეს მისცემს აღნიშნული უნარ-ჩვევების შეთვისების თანაბარ შესაძლებლობას.

სახელმწიფო არ დაუშვებს მოსწავლის დისკრიმინაციას სოციალური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან პოლიტიკური კუთვნილების, ფიზიკური შესაძლებლობებისა თუ სხვა ნიშნების მიხედვით.

გეოგრაფია. საშუალო საფეხურის სტანდარტი

შესავალი

კურსი განკუთვნილია საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. მის ფარგლებში ფართოვდება და ღრმავდება საბაზო საფეხურზე გეოგრაფიაში შექმნილი ცოდნა.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები.

შინაარსი აღინერება თემების (ქვეთემების), საკითხების და ქვეცნებების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სავალდებულო თემებს, თემების შესაბამის საკითხებს კი სკოლები თავად ირჩევენ.

თითოეულ თემას ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ის განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორები დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.

საფეხურის შედეგები

საშუალო საფეხურზე სტანდარტში განერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., გეო.საშ.1.:

„გეო.“ — მიუთითებს საგანს „გეოგრაფია“;

„საშ.“ — მიუთითებს საშუალო საფეხურს;

„1“ — მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

გეოგრაფიის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე		
შედეგების ინდექსები	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	სამიზნეცნებები:
გეო.საშ.1.	გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლიტოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო, ნოოსფერო, დედამიწის შინაგანი აგებულება) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების დასადგენად;	გეოგრაფიული გარსი (შედეგები 1, 2, 3, 4,) მოსახლეობა და მეურნეობა (შედეგები 3, 4) მდგრადი განვითარება (შედეგები 1
გეო.საშ.2.	ბუნებრივი პირობების გავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე განვითარების ზოგადი სივრცითი კანონზომიერებების დასადგენად;	
გეო.საშ.3.	მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის გაანალიზება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად;	
გეო.საშ.4	მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით რესურსების რაციონალური მოხმარება და მართვა.	

სავალდებულო თემები

X კლასი
1. გლობალური დემოგრაფიული გამოწვევები და ცვლილებები
2. რესურსების გამოყენებისა და მართვის გლობალური გამოწვევები და ცვლილებები

მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) და გეოგრაფიის სტანდარტის დანერგვის ფარგლებში აუცილებელია მასწავლებლებმა დაიცვან სავალდებულო თემების თანმიმდევრობა (რეკომენდებულია ერთ სემესტრში ერთი თემის სწავლება).

სავალდებულო თემებისა და შეფასების ინდიკატორების დამაკავშირებელი ცხრილები:

თითოეულ ცხრილში მოცემულია თემის დასახელება, მისი აღწერა და შეფასების ინდიკატორები, რომლებშიც ნაჩვენებია, როგორ რეალიზდება შედეგები კონკრეტულ თემაში.

X კლასი

თემა: გლობალური დემოგრაფიული გამოწვევები და ცვლილებები

• თემა მოიცავს დემოგრაფიული პროცესების/მოვლენების მიზეზების და შედეგების შესწავლას. კერძოდ, იმის შესწავლას, თუ რა გავლენას ახდენს ბუნებრივი გარემო ადამიანის საქმიანობაზე, განსახლებასა და მათ სივრცით კანონზომიერებებზე; რა გავლენა აქვს მოსახლეობას ბუნებრივ სისტემებზე. როგორ უნდა ვმართოთ დემოგრაფიული პროცესები სათანადოდ, რათა თავიდან ავიცილოთ გართულებები და მოსალოდნელი საფრთხეები.

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით:

გეოგრაფიული გარსი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გააანალიზოს დემოგრაფიული პროცესებით გამოწვეული ცვლილებებისა (მაგ.: მიგრაცია, მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარება, „მწვანე რევოლუცია“) და გეოგრაფიული გარსის (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო, ნოოსფერო) ურთიერთდაკავშირებულობა და ურთიერთზეგავლენა;

მოსახლეობა და მეურნეობა – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის (მოსახლეობის ცვლილება, დემოგრაფიული სიტუაცია – ხანდაზმულთა ხვედრითი წილის ზრდა, გაახალგაზრდავება, დემოგრაფიული პოლიტიკა, დემოგრაფიული ტენდენციები – გადასვლის ფაზები) გაანალიზება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად.

მდგრადი განვითარება – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გლობალურ დემოგრაფიულ პროცესებზე მსჯელობისას მომავალ თაობათა ინტერესების გათვალისწინება (ნიადაგის დაბინძურება და ეროზია).

თემა: გლობალური დემოგრაფიული გამოწვევები და ცვლილებები

• თემა მოიცავს დემოგრაფიული პროცესების/მოვლენების მიზეზების და შედეგების შესწავლას. კერძოდ, იმის შესწავლას, თუ რა გავლენას ახდენს ბუნებრივი გარემო ადამიანის საქმიანობაზე, განსახლებასა და მათ სივრცით კანონზომიერებებზე; რა გავლენა აქვს მოსახლეობას ბუნებრივ სისტემებზე. როგორ უნდა ვმართოთ დემოგრაფიული პროცესები სათანადოდ, რათა თავიდან ავიცილოთ გართულებები და მოსალოდნელი საფრთხეები.

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით:

გეოგრაფიული გარსი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გააანალიზოს დემოგრაფიული პროცესებით გამოწვეული ცვლილებებისა (მაგ.: მიგრაცია, მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარება, „მწვანე რევოლუცია“) და გეოგრაფიული გარსის (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო, ნოოსფერო) ურთიერთდაკავშირებულობა და ურთიერთზეგავლენა;

მოსახლეობა და მეურნეობა – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის (მოსახლეობის ცვლილება, დემოგრაფიული სიტუაცია – ხანდაზმულთა ხვედრითი წილის ზრდა, გაახალგაზრდავება, დემოგრაფიული პოლიტიკა, დემოგრაფიული ტენდენციები – გადასვლის ფაზები) გაანალიზება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად.

მდგრადი განვითარება – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გლობალურ დემოგრაფიულ პროცესებზე მსჯელობისას მომავალ თაობათა ინტერესების გათვალისწინება (ნიადაგის დაბინძურება და ეროზია).

სამიზნე ცნებები



მოსახლეობა და მეურნეობა



მდგრადი განვითარება



გეოგრაფიული გარსი



სადისკუსიო კითხვა – გაკვეთილის დასაწყისში დასმული კითხვა, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება საკითხის სიღრმისეულ გააზრებაში.



ქეისი – პატარა ამბავი, რომელიც მოსწავლეს აღნიშნული საკითხისადმი ინტერესს გაუღვიძებს.



კითხვა – პარაგრაფში მოცემულ საკითხებზე ორიენტირებული კითხვები.



საინტერესო ამბები – გაცნობითი ხასიათის საინტერესო ამბები.



ლექსიკონი – უცხო სიტყვების განმარტება.



გაიხსენე – გეოგრაფიასა თუ სხვა საგანში მიღებული ცოდნის გახსენება.



გაკვეთილის გაგება – გააზრებისთვის შესასრულებელი სამუშაოები.



საშინაო დავალება



კომპლექსური დავალება

მოსწავლის წიგნის სარჩევი

თემა 1. გლობალური დემოგრაფიული გამოწვევები და ცვლილებები	
მოსახლეობა	
§ 1	მოსახლეობის ცვლილება
§ 2	მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა
§ 3	მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა
შემაჯამებელი კომპლექსური დავალება	
§ 4	აღწარმოების ტიპები
§ 5	დემოგრაფიული გადასვლა
§ 6	დემოგრაფიული პოლიტიკა
შემაჯამებელი კომპლექსური დავალება	
§ 7	მიგრაცია
შემაჯამებელი კომპლექსური დავალება	
მეურნეობა	
§ 8	მსოფლიო მეურნეობა
§ 9	მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა
§ 10	სოფლის მეურნეობა
§ 11	„მწვანე რევოლუცია“
§ 12	ნიადაგის დაბინძურება და ეროზია
შემაჯამებელი კომპლექსური დავალება	
დანართი 1. ფიზიკური რუკა	
დანართი 2. რუკა	
დანართი 3.	
დანართი 4.	

სასწავლო კურიკულუმი – განვითარების გზა დასახული მიზნებისკენ

სასწავლო პროცესის სრულყოფილად მართვის საუკეთესო ბერკეტია მისი სწორად დაგეგმვა. სწორად დაგეგმვა კი ნიშნავს იმას, რომ თითოეულ მასწავლებელს აქვს გამართული საგნობრივი სასწავლო კურიკულუმი.

კურიკულუმი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან *currere* და „სირბილს“, „მოძრაობას“ აღნიშნავს. მასწავლებელმა ისე უნდა დაგეგმოს სასწავლო კურიკულუმი, რომ მოსწავლეების „მოძრაობა“ სასწავლო შედეგისკენ იყოს მიზანმიმართული და საინტერესო სასწავლო პროცესზე დაფუძნებული.

თითოეული საგნის სასწავლო შედეგი განერლია ეროვნულ სასწავლო გეგმაში – (ესგ) მათი მიღწევა შესაძლებელია შეთავაზებული სასწავლო თემების დამუშავების საშუალებით. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს და რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს თითოეული საგნის ფარგლებში საფეხურების მიხედვით – დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურებზე. თითოეული შედეგი მუშავდება სპირალური პრინციპით საფეხურის განმავლობაში. ესგ-ს საგნობრივი შედეგები და სასწავლო თემები საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ერთი და იგივეა. თითოეული მასწავლებელი კი, საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის, მოსწავლეთა საჭიროებებისა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, გეგმავს სასწავლო კურიკულუმს, ირჩევს მისი მოსწავლეებისთვის ხელსაყრელ გზას შედეგამდე მისასვლელად.

სკოლის ყველა მასწავლებელი ერთად ქმნის სასკოლო კურიკულუმს, რომელიც აზუსტებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნას სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით და წარმოაჩენს გზას, რომელიც მოსწავლემ, მასწავლებელმა და სკოლამ უნდა გაიაროს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესასრულებლად.

რა გავითვალისწინოთ კურიკულუმის აგებისას?

კურიკულუმი იმგვარად უნდა აიგოს, რომ სასწავლო მიზნები, შინაარსი, მეთოდოლოგია და შეფასების სისტემა თვისებრივ მთლიანობას ქმნიდეს. პროცესი კი, რომელშიც მოსწავლეა ჩართული, უნდა იყოს კონსტრუქტივისტულად დაგეგმილი და გათვლილი ისეთ შედეგზე, როდესაც მოსწავლე ფლობს ცოდნის სამივე კატეგორიას.

საგანმანათლებლო პროცესი ეფუძნება ხუთ კონსტრუქტივისტულ პარადიგმას:

1) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. მხოლოდ შინაგანი აქტიურობის საფუძველზე გარდაიქმნება ინფორმაცია ცოდნად.

2) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება. გაგების აქტი რომ განხორციელდეს, კავშირი უნდა დამყარდეს ახალ ინფორმაციასა და მესხიერებაში არსებულ ცოდნას შორის. „მხოლოდ იმის სწავლა შეგვიძლია, რის შესახებაც ცოდნა გვაქვს“ ამბობენ და კვლევებით ადასტურებენ კოგნიტივისტები.

3) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას.


გონებაში ცოდნის ორგანიზების ფორმას აზრობრივ სქემებს უწოდებენ. რაც უფრო ორგანიზებულად უკავშირდება ერთმანეთს აზრობრივი სქემები, მით უფრო ძლიერდება სააზროვნო რესურსი და დამახსოვრების უნარი.

4) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).

მოსწავლეს შეძენილ ცოდნაზე მეტად ზრდის და განავითარებს სააზროვნო პროცესების გაცნობიერება და მათი ეფექტიანად მართვის სწავლა. სწავლაში მეტი მიღწევა იმას აქვს, ვინც ცოდნის განვითარების საშუალებებს ეუფლება.

5) სწავლა – სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას:

- დეკლარაციულს (რა ენობება?);
- პროცედურულს (როგორ შევასრულო?);
- პირობისეულს (როდის გამოვიყენო?).



რისი დაგეგმვა უნევს პედაგოგს?

პედაგოგი სწავლა-სწავლების პროცესში გეგმავს ოთხ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს:

1) რისთვის ვასწავლო? – ეს სასწავლო მიზანია.

სასწავლო მიზანი განსაზღვრავს რა მიზნით ვასწავლით, საით, რა მიზნებისკენ უნდა მიდიოდეს არჩეული „გზა“?

2) რა ვასწავლოთ? – ეს სასწავლო რესურსი და სასწავლო მასალაა.

სასწავლო რესურსები განსაზღვრავს, რა გზით ვიაროთ მიზნის მისაღწევად, ანუ რა სასწავლო მასალა და რესურსი გამოადგება მასწავლებელს მოსწავლეთა მიზნამდე მისაყვანად.

3) როგორ ვასწავლოთ? – ეს მეთოდიკაა.

მეთოდებში განერილი უნდა იყოს შესაფერისი მიდგომები და სტარატეგიები, რომელთა გამოყენებითაც მივალნევთ მიზანს. ეს მიდგომები კი თითოეული მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით უნდა გაინეროს, რათა მოსწავლეებს გაუადვილდეთ სასწავლო პროცესში შემხვედრი ყველა დაბრკოლების გადალახვა და შედეგამდე მისვლა.

4) როგორ შევაფასოთ? – ეს შეფასების კრიტერიუმებია.

შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრავს, როგორ შევაფასოთ მოსწავლეთა წინსვლა და მიღწევები, როგორ შევუწყოთ ხელი მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას და როგორ დავადგინოთ მათი საჭიროებები.

ამ ოთხ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს მასწავლებელი გეგმავს და ითვალისწინებს სასწავლო თემატური ერთეულის შექმნისას.

როგორ შევქმნათ სასწავლო თემატური ერთეული?

მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ), პედაგოგიური პრაქტიკის სრულყოფისთვის გათვალისწინებული იყო დამატებითი მხარდაჭერა. შედეგად კი მასწავლებლებმა შექმნეს თემატური ერთეულები, რომელშიც კარგადაა განერილი ოთხივე უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ.

გეოგრაფიის საგნის თემატური ერთეულის – გეოგრაფიის მატრიცის ჩარჩო

თემა: საათების რაოდენობა:			
თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:			
თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები:			
თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:			
სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები	კომპლექსური დავალება ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე: ნაშრომის დასრულების შემდეგ გააკეთე რეფლექსია:
	კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები		შეფასების კრიტერიუმები

თემატური ერთეულის გზამკვლევი

ახლა დეტალურად განვიხილოთ თემატურ ერთეულში არსებული თითოეული გრაფა. მარტივი ორიენტირებისთვის თითოეული გრაფა სხვადასხვა ფერითაა მონიშნული.

ეტაპი I

თემატური ერთეულის შევსებას ვინწყებთ თემის განსაზღვრით. საგნობრივი თემატიკა თითოეული საგნისთვის განსაზღვრულია ესგ-ის წლიური პროგრამით. ყველა გრიფირებული სახელმძღვანელო ეყრდნობა შემოთავაზებულ თემატიკას და ასე დგება წიგნის შინაარსი (იხილეთ გეოგრაფიის წლიური პროგრამა www.ncp.ge).

რა არის თემა და რატომ ვინწყებთ თემის შერჩევას?

თემა არის:

- კონტექსტი და არა სამიზნე ორიენტირი;
- მოსწავლისთვის ნაცნობი ფენომენი;
- სტრუქტურული ერთეული, რომელზე მუშაობაც დროის ვრცელ მონაკვეთში მიმდინარეობს.

სასწავლო თემა არის ფუნქციური კონტექსტი, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში შეძლებისდაგვარად უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.

ასე, რომ მასწავლებელი თავდაპირველად განსაზღვრავს, რომელი თემის ფარგლებში აპირებს თემატური ერთეულის შექმნას და რამდენი დრო – კვირეული საათი დასჭირდება ამ

თემის ფარგლებში სასურველი საკითხების დასამუშავებლად. თემის დასამუშავებლად საჭირო დროც სარეზერვო დროსთან ერთად მითითებულია საგნის წლიურ პროგრამაში (იხილეთ ელექტრონული მისამართზე):

<http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/sabazo-safekhuri-vi-ix-klasebi-proeqti-sadjaro-gankhivistvis>).

ეტაპი II

საგნობრივად განსაზღვრულ თემატიკას ეროვნულ სასწავლო გეგმაში ახლავს თემის მკვიდრი წარმოდგენები და საკვანძო შეკითხვები.

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები განსაზღვრავს შესასწავლი თემის ჩარჩოებს; აკონკრეტებს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ კონკრეტულ თემასთან მიმართებით (თემატური მკვიდრი წარმოდგენები განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან).

თემატური საკვანძო შეკითხვები კი გამოკვეთს, რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსური დავალების შესრულებისას.

ეტაპი III

თემისა და მისი მკვიდრი წარმოდგენის გაანალიზების შემდეგ, მასწავლებელი შეარჩევს საგნობრივ საკითხებს ამ თემის მკვიდრი წარმოდგენებისა და საგნის სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს.

საგნობრივი საკითხი/ქვეცნება წარმოადგენს სამიზნე ცნების ტრანსფერის არეალს /

მაგალითთა წრეს / სამიზნე ცნების ქვესიმრავლეს;

ის უკავშირდება იმავე მკვიდრ წარმოდგენებს, რასაც სამიზნე ცნება.

საგნობრივი საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს. ასე, რომ თემისა და სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება მასწავლებელს შეუძლია კლასზე მორგებული სხვადასხვა საკითხით.

ეტაპი IV

თემის ფარგლებში/თემაში წარმოდგენილ თითოეულ საკითხთან მიმართებით სამიზნე ცნებისა და ქვეცნებების განსაზღვრა.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.

ცნება ეს არის:

მთავარი სამიზნე ობიექტი, რომელიც მთელი საფეხურის ფარგლებში რჩება ორიენტირად; მუშავდება სხვადასხვა თემატურ კონტექსტებში (ცნება – მიზანი, თემა – საშუალება); სამიზნე არ შეიძლება იყოს ცნებების დიდი რაოდენობა.

გეოგრაფიის საგნისთვის განსაზღვრულია შემდეგი სამიზნე ცნებები:

- 1) გეოგრაფიული გარსი;
- 2) მოსახლეობა და მეურნეობა;
- 3) მდგრადი განვითარება.

სამიზნე ცნებები

(იხილეთ დანართი №1 – გეოგრაფიის სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები) სამიზნე ცნებებსა და თემებს ახლავს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც ეყდნობა

სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

მკვიდრი წარმოდგენები:

შემოსაზღვრავს საგნისთვის საფეხურის შიგნით ცნების მოცულობას;

ცოდნის ყველაზე უფრო ღრმა შრეა (გათავისება, გასისხლხორცება, გონებითი ჩვევა). შედეგი სასურველია, თუ მოსწავლე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს საკუთარი სიტყვებით აყალიბებს სხვადასხვა თემისა და საკითხის ფარგლებში.

დანართი №1 – სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გეოგრაფია საშუალო საფეხური

გეოგრაფიული გარსი

- გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფეროებისაგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომელსაც ახასიათებს მთელი რიგი კანონზომიერებები;
- ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს სხვა გეოსფეროებზე.

მოსახლეობა და მეურნეობა

- ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ დანაწილებას განაპირობებს;
- მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში;
- სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვითარების დონეზე აისახება.

მდგრადი განვითარება

- ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს;
- მდგრადი განვითარების მიზნების (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) შესრულება აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის.

ეტაპი V

როდესაც მასწავლებელი განსაზღვრავს თემას, ცნებას და მათი მკვიდრი წარმოდგენების დასამუშავებელ საშუალებად შეარჩევს შესაბამის საკითხს, ის გეგმავს კომპლექსურ დავალებას, რომელიც არის სწავლების შედეგი, მოსწავლის შემოქმედებითი პროდუქტი.

კომპლექსური დავალება:

დავალება, რომელიც ცოდნის სამივე კატეგორიაზეა ორიენტირებული (განსაკუთრებით პირობისეულზე), ანუ არ არის ორიენტირებული მხოლოდ პროცედურულ და დეკლარატიულ ცოდნაზე;

- გამოიყენება ცოდნის ასაგებად და არა მხოლოდ ნასწავლის შესამოწმებლად;
- კონკრეტული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი ფორმით გამოხატული ცოდნაა, რომელიც სამიზნე ცნებაზე მუშაობისთვის გამოიყენება და არის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი.

თემატურ ერთეულში განსაზღვრულია გრაფა კომპლექსური დავალების პირობისთვის, თუმცა, შესაძლოა, მასწავლებელმა კომპლექსური დავალება განეროს კომპლექსური დავალების ბარათში.

სამიზნე ცნება – საგნობრივი სამიზნე ცნებებიდან ვარჩევთ ერთს ან რამდენიმეს.

შედეგები – ესგ-ის შედეგები ინდიკატორების მიხედვით, რომელთა დაფარვაც ხორციელდება კომპლექსური დავალების დამუშავებისას.

საკითხი – თემის შიგნით შერჩეული არსებითი საკითხი, რომელიც ემსახურება შერჩეული სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას.

კომპლექსური დავალების პირობა:

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:

პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:

ეტაპი VI

აქტივობები

მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრებისთვის, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა და შემაჯამებელი პროდუქტის – კომპლექსური დავალების შესრულების ხელშესაწყობად.

ამ ნაბიჯების თანმიმდევრული დაგეგმვის შედეგად მასწავლებელს მზად აქვს თემატური ერთეული – მატრიცა.

თემატურ მატრიცაში სამიზნე ცნების განსაზღვრა ფაქტობრივად დაგეგმვაა იმისა, **რისთვის, რა მიზნისთვის ვასწავლით.**

თემატურ მატრიცაში თემები და საკითხები ის საჭირო საშუალებებია, რომელთა დახმარებითაც მივდივართ მიზნისკენ. ასე ფაქტობრივად ვგეგმავთ იმას, **თუ რას ვასწავლით.**

თემატურ მატრიცაში განერილი ჩასატარებელი აქტივობები ფაქტობრივად ხიდია სამიზნე ცნებასა და კომპლექსურ დავალებას შორის. საკვანძო კითხვები, რომლებიც გამომდინარეობს სამიზნე ცნებისა და თემის მკვიდრი წარმოდგენებისგან, აქტივობების ორიენტირია. აქტივობების დაგეგმვა ფაქტობრივად დაგეგმვაა იმისა, **როგორ/რა მეთოდით ვასწავლით.**

თემატურ მატრიცაში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება, რომელიც მოსწავლის მიერ დადებული შემოქმედებითი პროდუქტია, ფასდება წინასწარ განერილი შეფასების კრიტერიუმებით, რომელიც ეფუძნება ესგ სტანდარტით განსაზღვრულ შეფასების ინდიკატორებს. შეფასების კრიტერიუმები ერთვის ყველა კომპლექსურ დავალებას. ეს ფაქტობრივად დაგეგმვაა იმისა, **თუ როგორ ვაფასებთ ნასწავლს.**

ასეთი თემატური ერთეულების ერთობლიობით იქმნება საფეხურებრივი კურიკულუმი.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

შეფასება ერთ-ერთი კომპონენტია იმ ოთხი მნიშვნელოვანი კომპონენტიდან, რომლებიც საჭიროა კარგად განსაზღვროს მასწავლებელმა სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიანად და სრულფასოვნად წარმართვისთვის.

განმსაზღვრელი შეფასება დარეგულირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და მასწავლებელი იყენებს მას შესაბამისად.

მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც ხორციელდება SOLO ტაქსონომიის მიხედვით.

დაკვირვებადი სწავლის შედეგების ტაქსონომია

S — Structure of


O — Observed

L — Learning


O — Outcomes

სისტემური გზა იმის აღსაწერად, უნარ-ჩვევების განვითარებასთან ერთად, როგორ უმჯობესდება მოსწავლის მიღწევები (performance) კომპლექსურობის კუთხით.

სოლო ტაქსონომია მასწავლებელს ეხმარება მოსწავლის სწავლის პროცესის შესწავლაში. სოლო ტაქსონომიას აქვს 5 დონე:



სოლო - სად ვარ მე?



პრესტრუქტურული - არ შემიძლია, დახმარება მჭირდება

უნისტრუქტურული მე შემიძლია - მარტივი ინსტრუქციის შესრულება, დასათაურება

მულტისტრუქტურული მე შემიძლია აღწერა, გამოთვლა

მიმართებითი - მე შემიძლია ახსნა, ანალიზი.

გაფართოებული აბსტრაქტული - მე შემიძლია - შექმნა, შეფასება,

	<p>პრესტრუქტურული დონე</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლე საერთოდ ვერ იცნობს საკითხს, იცნებს შესაბამის ინფორმაციას;
	<p>უნისტრუქტურული დონე</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება, ტერმინოლოგიას იცნებს, შეუძლია ტერმინის გახსენება, მარტივი ინსტრუქციის / ალგორითმის შესრულება; თავისი სიტყვებით გადმოცემა; დასაბუთება, ჩამოთვლა, იდენტიფიცირება;

	<p>მულტისტრუქტურული დონე</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, ამ დროს ვერ ამყარებს მათ შორის მიმართებებს, შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, კლასიფიკაცია, პროცედურების შესრულება;
	<p>მიმართებითი (რელატიური) დონე</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია რამდენიმე ასპექტს შორის. ნაწილებისგან ქმნის მთლიანს; შეუძლია შედარება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება; (მოსწავლე ამყარებს კავშირს რამდენიმე იდეას შორის).

	<p>გაფართოებული აბსტრაქტული დონე</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურის წარმოდგენა აბსტრაქტულად, მისი აღქმა და სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა, იდეების ჰიპოთეზის ჩამოყალიბების დასაბუთება სხვა სიტუაციაში, იმემა, არგუმენტის მოტანა; (მოსწავლეს შეუძლია იდეების ინტეგრირება).
---	---

თემატური მატრიცები

<p>თემა: გლობალური დემოგრაფიული გამოწვევები და ცვლილებები საათების სავარაუდო რაოდენობა – 30 სთ.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ნიგერია – „დემოგრაფიული ბომბი“ 2. ჩინეთის და ინდოეთის დემოგრაფიული პოლიტიკა 3. საქართველო – საერთაშორისო მიგრაციების ქრილში 4. „მწვანე რევოლუცია“ – დავაპუროთ მსოფლიო 		
<p>თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მოსახლეობის რაოდენობა, სტრუქტურა და მახასიათებლები განუწყვეტლივ იზრდება, რაზეც სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორი ახდენს ზეგავლენას; 2. მსოფლიოში მოსახლეობა არათანაბრად არის განაწილებული; 3. დემოგრაფიული გადასვლის ფაზები მჭიდროს არის დამოკიდებული მეურნეობის განვითარებასთან; 4. შობადობის ნასახლისებლად სხვადასხვა ქვეყნის მთავრობა პრონატალისტურ¹, ხოლო შობადობის შესამცირებლად კიანტენატალისტურ² დემოგრაფიულ პოლიტიკას მიმართავს; 5. მიგრაცია გავლენას ახდენს არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობასა და სტრუქტურაზე, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სიტუაციაზე; 6. „მწვანე რევოლუცია“ განპირობებული იყო სოფლის მეურნეობის მექანიზაციითა და ქიმიზაციით, რამაც ხელი შეუწყო ღარიბი ქვეყნების სურსათით უზრუნველყოფას; 7. მოსახლეობის განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა ე.წ. „ოქროს საყელოს“ პროფესიები; 8. პესტიციდების ინტენსიურმა გამოყენებამ და ადამიანის ინდუსტრიულმა საქმიანობამ გამოიწვია ნიადაგების დაბინძურება. 		
<p>მაკროცნება/ მაკროცნებასთან დაკავშირებული კრიტერიუმი:</p>		
კომპლექსური დავალებები (დასახელება)	სამიზნე ცნებები და ქვეცნებები	საკითხები
1) ნიგერიის მოსახლეობის შესახებ კვლევის ანგარიშის მომზადება	მოსახლეობა და მეურნეობა	ნიგერია – „დემოგრაფიული ბომბი“?
2) მილიარდიანი ქვეყნებისთვის დემოგრაფიული პოლიტიკის გზამკვლევის მომზადება	მოსახლეობა და მეურნეობა მდგრადი განვითარება	დემოგრაფიული პოლიტიკა ქვეყნებში, სადაც მოსახლეობა მილიარდზე მეტია
3) რეფერატის მომზადება თანამედროვე მიგრაციული პროცესების შესახებ	მოსახლეობა და მეურნეობა მდგრადი განვითარება	მიგრაცია და თანამედროვე მსოფლიო
4) პროექტის საშუალებით სასურსათო პრობლემების შესწავლა	გეოგრაფიული გარსი, მდგრადი განვითარება	სასურსათო პრობლემები და „მწვანე რევოლუცია“

¹ პრონატალისტური – (ლათ.) მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორება შობადობის გაზრდის გზით.

² ანტენატალისტური – სიცოცხლის განვითარების პერიოდი ადამიანის დაბადებამდე.

<p>გრძელვადიანი მიზანი</p> <p>სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</p>	<p>საკითხი: ნიგერია – „დემოგრაფიული ბომბი“</p> <p>ქვესაკითხები: მოსახლეობის დინამიკა, შობადობა, მოკვდაობა, ბუნებრივი მატება, მოსახლეობის სქესობრივასაკობრივი პირამიდა.</p>	<p>შუალედური სასწავლო მიზანი</p> <p>კომპლექსური დავალების პირობა</p>
<p>მოსახლეობა და მეურნეობა</p> <p>შედეგები 3,4</p> <ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ დანაწილებას განაპირობებს; • მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში; • სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვითარების დონეზე აისახება. 	<p>კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):</p> <p>ეტაპი I: კომპლექსური დავალების ფორმა ნაბიჯი 1 როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?</p> <p>რესურსი/აქტივობა: რესურსი 1. კვლევის ანგარიშის შექმნა</p> <ul style="list-style-type: none"> • რა არის კვლევა? • რა ნაწილებისგან უნდა შედგებოდეს კვლევის ანგარიში? • რა უნდა ავსახოთ კვლევის ანგარიშში? • რატომ უნდა ვიცოდეთ კვლევის ანგარიშის წერა? <p>ეტაპი II: კომპლექსური დავალების შინაარსი ნაბიჯი 1</p> <ul style="list-style-type: none"> • რა გავლენას ახდენს ბუნებრივი ფაქტორები ნიგერიის მოსახლეობის განსახლებაზე და სიმჭიდროვეზე. (მოსახლეობა და მეურნეობა; მ.ნ. 1); <p>რესურსი/აქტივობა: რესურსი 1. მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები;</p> <p>რესურსი 2. ნიგერიის ფიზიკურ-გეოგრაფიული და მოსახლეობის მოკლე დახასიათება.</p> <ul style="list-style-type: none"> • რა არის მოსახლეობა? • რა არის განსახლება და განსახლების რომელი ფორმები იცით? • რა არის მოსახლეობის სიმჭიდროვე და როგორ გამოითვლება სიმჭიდროვე? • რატომ არის მოსახლეობის რეალური სიმჭიდროვის მაჩვენებელი უფრო ზუსტი? • როგორია მეჩხერად და მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიები? შეადარე ისინი ერთმანეთს; • რომელი ბუნებრივი ფაქტორები მოქმედებენ მოსახლეობის განსახლებაზე და სიმჭიდროვეზე? • რატომ არის ნიგერიის ტერიტორია არათანაბრად დასახლებული? • რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ნიგერიის ფიზიკური, კლიმატური და სიმჭიდროვის რუკების გამოყენებით? <p>ნაბიჯი 2.</p> <ul style="list-style-type: none"> • რატომ შეიცვალა ნიგერიის მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები (რაოდენობა, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, მედიანური ასაკი, შობადობა, მოკვდაობა და ბუნებრივი მატება) ბოლო ათწლეულების განმავლობაში? (ს.ც. მოსახლეობა და მეურნეობა; მ.ნ.2) 	 <p>ნიგერია მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზეა აფრიკაში და მეშვიდეა მსოფლიოში. 2021 წლისთვის მისი რაოდენობა 211 მლნ იყო. XX საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყანა დემოგრაფიული აფეთქების ფაზაში შევიდა. ზოგიერთი მკვლევარი ნიგერიას „დემოგრაფიულ ბომბად“ მოიხსენიებს. ყოველთვიურად ნიგერიის მოსახლეობა 300 ათასით მატულობს. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება, ყოველ 25 წელიწადში ქვეყნის მოსახლეობა გაორმაგდება.</p> <p>წარმოიდგინე, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მკვლევარი ხარ და ნიგერიის მოსახლეობის გარკვეული მხარეების შესწავლა და ანგარიშის წარდგენა დაგეგვალა.</p> <p>კვლევის ანგარიშში მკაფიოდ წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • რა გავლენას ახდენს ბუნებრივი ფაქტორები ნიგერიის მოსახლეობის განსახლებაზე და სიმჭიდროვეზე (სამიზნე ცნება (ს.ც.)? მოსახლეობა და მეურნეობა; მკვიდრ წარმოდგენა (მ.ნ.1); • რატომ შეიცვალა ნიგერიის მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები (რაოდენობა, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, შობადობა, მოკვდაობა და ბუნებრივი მატება) ბოლო ათწლეულების განმავლობაში? (მოსახლეობა და მეურნეობა; მ.ნ.2);

	<p>რესურსი/აქტივობა: რესურსი 1. მოსწავლის წიგნი, §1-3; რესურსი 2. მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის აგების ვიდეონსტრუქცია https://www.youtube.com/watch?v=hw6ISsB0Ut0 რესურსი 3. აშშ-ს და ნიგერიის ინტერაქტიური სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა. https://imgur.com/gallery/gQO1YJX რესურსი 4. ინტერნეტში განთავსებული ინტერაქტიური რუკები და გრაფიკები https://worldpopulationreview.com/countries/nigeria-population</p> <ul style="list-style-type: none"> • რატომ არის მნიშვნელოვანი დემოგრაფიული მაჩვენებლების ცოდნა? • როგორ შეიძლება დემოგრაფიული მაჩვენებლების საშუალებით ნიგერიის მოსახლეობის დახასიათება? • როგორ გამოითვლება შობადობა/მოკვდაობა, ბუნებრივი მატება? • როგორ იცვლებოდა დემოგრაფიული მაჩვენებლები ნიგერიის შემთხვევაში? იზრდებოდა თუ იკლებდა ეს მაჩვენებლები? • როგორ შეიძლება გამოვსახოთ ქვეყნის (კონკრეტულად ნიგერიის) სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა? • რა ინფორმაციის ნაკითხვაა შესაძლებელი სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდათ? • როგორ უნდა ავაგოთ სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა? (იხ. რესურსი https://www.youtube.com/watch?v=hw6ISsB0Ut0) • რა განსხვავებაა აშშ-ისა და ნიგერიის სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდებს შორის? (იხ. რესურსი https://imgur.com/gallery/gQO1YJX/comment/521046057) <p>ნაბიჯი 3.</p> <ul style="list-style-type: none"> • რა როლს ასრულებს ნიგერიის სახელმწიფო სწრაფად მზარდი მოსახლეობის დინამიკის რეგულირებაში? (ს.ც. მოსახლეობა და მეურნეობა; მ.წ.3). <p>რესურსი/აქტივობა: რესურსი 1. მოსწავლის წიგნი, §6 რესურსი 2. ნიგერიის დემოგრაფია https://wikipedia.net/ka/Demographics_of_Nigeria</p> <ul style="list-style-type: none"> • რა მნიშვნელობა აქვს მოსახლეობას, როგორც შრომით რესურსს ქვეყნის განვითარებისთვის? • ბევრი მოსახლეობა კარგია თუ ცუდი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით? • რა პრობლემები შეიძლება შეექმნას ქვეყანას ჭარბი მოსახლეობის დროს? • როგორ გააანალიზებ მოსახლეობის სწრაფი ბუნებრივი ზრდის დადებით და უარყოფით მხარეებს? • როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო რაოდენობრივად მზარდი მოსახლეობის პირობებში? • რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო მოსახლეობის სწრაფი ბუნებრივი ზრდის პირობებში? • მოსახლეობის რეგულირების როგორ ხერხებს მიმართავს ნიგერიის სახელმწიფო? • შენ როგორ მოიქცეოდი ნიგერიის მთავრობის ადგილზე? 	<ul style="list-style-type: none"> • რა ზომებს მიმართავს ნიგერიის სახელმწიფო მოსახლეობის რაოდენობის სწრაფად მზარდი დინამიკის დასარეგულირებლად. (მოსახლეობა და მეურნეობა; მ.წ. 3). <p>ახსენი კვლევის პროცესი. მაკროცნება და მასთან დაკავშირებული კრიტერიუმი:</p>
--	--	---

	<p>ნაბიჯი 4. მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები:</p> <ul style="list-style-type: none"> • აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი; • აღწერე რა პროდუქტი შექმენი; • რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება? • ახსენი, რატომ შექმენი ინფოგრაფიკი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით? • რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად ინფოგრაფიკია? • შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ? • რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? • რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? • სხვა დროს თუ შეგისრულებია მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება? • შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? 	
--	---	--

რესურსი 1. კვლევის ანგარიშის შექმნა

კვლევის ანგარიში (მოსწავლის მიერ წარმოდგენილი პროდუქტი) ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლა-სწავლების პრინციპების განვითარებას, კითხვის სტრატეგიების გამოყენებას, ორგანიზებულობას, აკადემიური უნარ-ჩვევების გამომუშავებას და ა.შ. მე-10 კლასის გეოგრაფიული კვლევის ანგარიშის მოცულობა არ უნდა აღმატებოდეს 2-3 გვერდს (დაახლოებით 300-500 სიტყვა), გამოყენებული ვიზუალური მასალა მჭიდრო კავშირში იყოს ტექსტთან და მასში განხილულ საკითხებთან. კვლევის ანგარიში უნდა იყოს მოსწავლის მიერ წარმოდგენილი ორიგინალური ნაშრომი. მოსწავლე კვლევის ანგარიშზე მუშაობის პროცესში იყენებს მრავალფეროვან დამატებით რესურსს (საკითხავი მასალა, ვიდეო რგოლები, ფოტოები, გრაფიკები, რუკები და ა.შ.), ანალიზებს მათ და გამოაქვს დასკვნები. სწორედ ამ დასკვნების საფუძველზე იქმნება მისი, როგორც დამწყები მკვლევრის ძალიან საინტერესო და ორიგინალური ნაშრომი.

კომპლექსურ დავალებას უზვად ახლავს დამატებითი რესურსები, რომელთა გამოყენება მოსწავლეებს გაუადვილებს კვლევის ანგარიშზე მუშაობას. შენიშვნა: მათი გამოყენება აუცილებელია, რადგან თითოეული მათგანი შერჩეულია იმ მიზნით, რომ მოსწავლემ დაამუშაოს კონკრეტული კრიტერიუმი (შუალედური სასწავლო მიზანი), რომელიც თავის მხრივ მიემართება სამიზნე ცნებისკენ (გრძელვადიანი სასწავლო მიზანი).

კვლევის ანგარიში უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისგან:

- შესავალი;
- ძირითადი ნაწილი;
- დასკვნები;
- გამოყენებული ლიტერატურა.

შესავალში, რომელიც რამდენიმე აბზაცი იქნება, მოსწავლე გააცნობს აუდიტორიას კვლევის ძირითად შინაარსს, რა თემას ეხება და რა სახის მასალები გამოიყენა, რატომ შეიქმნა ეს ანგარიში. ჩამოაყალიბებს ძირითად მიზანსა და ამოცანებს და განმარტავს იმ ძირითად სიახლეს, რომელიც შეიტყო ამ საკითხზე მუშაობის პროცესში.

ძირითადი ნაწილი – ამ ნაწილს მოსწავლე დაყოფს კომპლექსურ დავალებაში არსებული კრიტერიუმების მიხედვით (შესაძლებელია, ეს კრიტერიუმები სათაურების სახითაც გამოიტანოს). ამ ნაწილის დანერისთვის აუცილებელია, მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული, როგორც საკლასო სასწავლო პროცესში, ასევე დამოუკიდებლად შეასრულოს მასწავლებლის მიცემული ინსტრუქციები, რომ შეძლოს კრიტერიუმების სრულყოფილად დამუშავება. ძირითად ნაწილში მოსწავლის მიერ დამუშავებული მრავალფეროვანი რესურსები (რუკები, გრაფიკები, სურათები, კომიქსები, საკითხავი მასალა, ვიდეორგოლები და ა.შ.) შესაძლებლობას მისცემს, განავითაროს სწავლა-სწავლების უნარ-ჩვევები (ორგანიზებულობა, დამოუკიდებლად აზროვნება, ანალიზისა და დასკვნების გამოტანის უნარი).

ძირითად ნაწილში მოსწავლემ, შესაძლებელია გამოიყენოს ვიზუალური მასალაც, რომელიც ტექსტთან იქნება ორგანულად დაკავშირებული. შესაძლებელია გაანალიზოს რომელიმე ცხრილი, ააგოს გრაფიკი და გამოიტანოს საკუთარი დასკვნები; ან ფოტოს დახმარებით შექმნას ე.წ. „ფოტომბავი“. შენიშვნა: ვიზუალური მასალის გამოყენებაც აუცილებელია სახელმძღვანელოს ან/და დამატებით ლიტერატურაზე დაყრდნობით.

დასკვნები – კვლევის ანგარიშის ბოლოს მოსწავლე, ორი-სამი აბზაცის ფარგლებში, განხილული საკითხის ირგვლივ საკუთარ მოსაზრებებს წარადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა – მოსწავლე ჩამოთვლის იმ რესურსებს, რომელთა გამოყენების საფუძველზე შექმნა საკუთარი ორიგინალური ნაშრომი.

<p>გრძელვადიანი მიზანი</p> <p>სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</p>	<p>საკითხი: ჩინეთის და ინდოეთის დემოგრაფიული პოლიტიკა</p> <p>ქვესაკითხები: აღწარმოების ტიპები (არქეტიპი, ტრადიციული ტიპი, თანამედროვე ტიპი, უახლესი – დეპოპულაციური ტიპი); აღწარმოების გაფართოებული, მარტივი და შეზღუდული ჯგუფები; ოჯახის დაგეგმვა; დემოგრაფიული გადასვლა; დემოგრაფიული გადასვლის ფაზები (I, II, III, IV, V ფაზები); დემოგრაფია; დემოგრაფიული პოლიტიკა; გაფართოებული და შემზღუდველი დემოგრაფიული პოლიტიკა;</p>	<p>შუალედური სასწავლო მიზანი</p> <p>კომპლექსური დავალების პირობა</p>
<p>მოსახლეობა და მეურნეობა</p> <p>შედეგები 3, 4</p> <ul style="list-style-type: none"> ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ დანაწილებას განაპირობებს; მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში; სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მისი განვითარების დონეზე აისახება. <p>მდგრადი განვითარება შედეგები 1, 2, 3, 4</p> <ul style="list-style-type: none"> ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს; მდგრადი განვითარების მიზნების (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) შესრულება აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის. 	<p>კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):</p> <p>I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა ნაბიჯი 1</p> <p>როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?</p> <p>რესურსი/აქტივობა:</p> <p>რესურსი 1. როგორ შევქმნათ გრაფიკული ორგანიზატორი, ფაქტოგრაფი და ინფოგრაფიკი. https://infogram.com/?clid=IwAR2F4D5EV9rMdfUJK-K1X2F1aKFRX8OoZjdRtmbmmsb06GxpW66L5MgrOAYS</p> <p>რესურსი 2. 10 წუთიანი ვიდეოინსტრუქცია, როგორ გამოიყენო https://www.canva.com პლატფორმა ელექტრონული გრაფიკული ორგანიზატორის შესაქმნელად https://www.youtube.com/watch?v=zJSgUx5K6V0</p> <ul style="list-style-type: none"> რა არის გზამკვლევი? რა არის გრაფიკული ორგანიზატორი? გაქვთ გზამკვლევისა და გრაფიკული ორგანიზატორის მომზადების გამოცდილება? როგორ მოვამზადოთ გზამკვლევი და გრაფიკული ორგანიზატორი? რა უნდა გავითვალისწინოთ გზამკვლევზე, გრაფიკულ ორგანიზატორზე მუშაობის დროს? როგორ დავგეგმოთ გზამკვლევისა და გრაფიკული ორგანიზატორის მომზადების პროცესი? 	<p>დედამინაზე ყველაზე მეტი ადამიანი – დღეში 44 ათასი ბავშვი, ინდოეთში იბადება, რაც სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას დაბრკოლებებს უქმნის. ინდოეთი პირველი განვითარებადი ქვეყანა იყო, რომელმაც შობადობაზე კონტროლი სახელმწიფო რანგში აიყვანა. მაგრამ დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებას ხელს უშლის სხვადასხვა ფაქტორი. ჩინეთში კი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება XX საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო. დღემდე ერთმანეთს ენაცვლება შობადობის ნახალისებისა და შემცირების ღონისძიებების პერიოდები. ბოლო 40 წლის განმავლობაში, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა შეჩერდა, რამაც ქვეყნის განვითარების შემაფერხებელი პრობლემები წარმოშვა.</p> <p>წარმოიდგინე, რომ გაეროს მოსახლეობის ფონდის დემოგრაფიული პოლიტიკის საბჭოს წევრი ხარ და დაგეგვალა დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისთვის გზამკვლევის შექმნა.</p>

	<p>ეტაპი II. კომპლექსური დავალების შინაარსი ნაბიჯი 1 რომელ ინფორმაციას უნდა ფლობდეს ქვეყანა დემოგრაფიული პოლიტიკის დაგეგმვამდე?</p> <p>რესურსი/აქტივობა: რესურსი 1. მოსწავლის წიგნი, §4, მოსახლეობის აღწარმოების ტიპები. რესურსი 2. მოსწავლის წიგნი, §5, დემოგრაფიული გადასვლა.</p> <p>სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორ უნდა მოვიძიოთ დემოგრაფიული მონაცემები? • რა არის აღწარმოების ტიპი? • აღწარმოების რამდენი ტიპია? • რა თავისებურებები აქვს აღწარმოების თითოეულ ტიპს? • რაში მდგომარეობს დემოგრაფიული გადასვლის თეორია? • რატომ და რა კრიტერიუმებით აჯგუფებენ ქვეყნებს მარტივ, შემზღუდულ და გაფართოებულ აღწარმოების ჯგუფებად? • რა თავისებურებები აქვს დემოგრაფიული გადასვლის თითოეულ ფაზას? • რა ინფორმაციას უნდა ფლობდეს ქვეყანა დემოგრაფიული პოლიტიკის დაგეგმვამდე? • როგორ უნდა განსაზღვროს ქვეყანამ, როგორი დემოგრაფიული პოლიტიკა სჭირდება, შემზღუდავი თუ გაფართოებულ? • რა გამოწვევები შეიძლება შეხვდეს დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებას? (ჩინეთისა და ინდოეთის მაგალითზე). <p>ნაბიჯი 2</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორ უნდა განსაზღვროს ქვეყანამ, როგორი დემოგრაფიული პოლიტიკა სჭირდება – შემზღუდავი, თუ გაფართოებულ (მოსახლეობა და მეურნეობა, მ.წ. 2); • რა გამოწვევები შეიძლება შეხვდეს დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებას? (ჩინეთისა და ინდოეთის მაგალითზე) (მოსახლეობა და მეურნეობა მ.წ. 3); <p>რესურსი/აქტივობა: რესურსი 1. მოსწავლის წიგნი, §6 დემოგრაფიული პოლიტიკა რესურსი 2. ილუსტრაციები:</p>	<p>გაითვალისწინე ჩინეთისა და ინდოეთის გამოცდილება და წარმოადგინე დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავების გზამკვლევი გრაფიკული ორგანიზატორის ფორმით.</p> <p>დემოგრაფიული პოლიტიკის გზამკვლევაში მკაფიოდ წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • რა ინფორმაციას უნდა ფლობდეს ქვეყანა დემოგრაფიული პოლიტიკის დაგეგმვამდე? (მოსახლეობა და მეურნეობა მ.წ. 1); • როგორ უნდა განსაზღვროს ქვეყანამ, როგორი დემოგრაფიული პოლიტიკა სჭირდება – შემზღუდავი თუ გაფართოებულ? (მოსახლეობა და მეურნეობა, მ.წ. 2); • რა გამოწვევები შეიძლება შეხვდეს დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებას? (ჩინეთისა და ინდოეთის მაგალითზე) (მოსახლეობა და მეურნეობა მ.წ. 3); • როგორი იქნება დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელების შედეგი წარმატების შემთხვევაში? (მდგრადი განვითარება მ.წ. 1); • ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით შეაფასე, ზღუდავს თუ არა დემოგრაფიული პოლიტიკა ადამიანის უფლებებს? (მდგრადი განვითარება, მ.წ. 2). <p>ახსენი კვლევის პროცესი.</p> <p>მაკროცნება და მასთან დაკავშირებული კრიტიკური:</p>
--	--	--

- რა არის დემოგრაფია?
- რა არის პოლიტიკა? რა ტიპის პოლიტიკა არსებობს?
- რა არის დემოგრაფიული პოლიტიკა? დემოგრაფიული პოლიტიკის რა სახეები არსებობს?
- რომელი დემოგრაფიული მონაცემის ცოდნა დაგვეხმარება საჭირო დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებაში?
- რატომ არის დემოგრაფიული მონაცემების ცოდნა აუცილებელი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისთვის?
- რა მიზეზებით დაიწყო დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება ჩინეთში?
- რა მიზნებს ისახავდა ჩინეთში დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება?
- რატომ გადაწყვიტა ჩინეთის ხელისუფლებამ დემოგრაფიული პოლიტიკის გადახედვა?
- რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს შემზღუდველ დემოგრაფიულ პოლიტიკას წარმატებით განხორციელების შემთხვევაში?
- რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს გაფართოებულ დემოგრაფიულ პოლიტიკას წარმატებით განხორციელების შემთხვევაში?
- რა მიზეზებით დაიწყო დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება ინდოეთში?
- რა გამოწვევების წინაშე დადგა დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება ინდოეთში?

ნაბიჯი 3.

- როგორი იქნება დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელების შედეგი წარმატების შემთხვევაში? (მდგრადი განვითარება, მ.წ. 1);
- ზღუდავს თუ არა, დემოგრაფიული პოლიტიკა ადამიანის უფლებებს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის გათვალისწინებით, (მდგრადი განვითარება მ.წ. 2).

რესურსი/აქტივობა:

რესურსი 1. მოსწავლის წიგნი, § 6 დემოგრაფიული პოლიტიკა.
რესურსი 2. რა არის პოლიტიკა და პოლიტიკური იდეოლოგია
<https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-20>

რესურსი 3. ჩინეთი – დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგები – ვიდეორესურსი.
<https://www.youtube.com/watch?v=Fg7JjmLyWs>

რესურსი 4. ინდოეთი – ცხოვრება ბიდონვილებში – ვიდეორესურსი.
<https://www.youtube.com/watch?v=yX6278bhHnc>

რესურსი 5. ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია
<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf>

სამიზნე ცნების კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- როგორ უნდა განისაზღვროს, როგორი დემოგრაფიული პოლიტიკა სჭირდება ქვეყანას – შემზღუდავი თუ გაფართოებულ-ლი?
- რა ფაქტორებზეა დამოკიდებული დემოგრაფიული პოლიტიკის წარმატებით განხორციელება?
- რა შედეგებია მოსალოდნელი (შემზღუდავი და გაფართოებული) დემოგრაფიული პოლიტიკის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში?
- ირღვევა თუ არა ადამიანის უფლებები დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებისას?
- ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის რომელი მუხლები იზღუდება დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში?
- რა ინფორმაციას უნდა ფლობდეს ქვეყანა დემოგრაფიული პოლიტიკის დაგეგმვამდე?
- რა გამოწვევებს შეიძლება შეხვდეს დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება?

ნაბიჯი 4.

მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის დასმული შეკითხვები:

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე, რა პროდუქტი შექმენი;
- რა საკითხს ეხება შენ მიერ მომზადებული დავალება?
- ახსენი, რა პროდუქტი შექმენი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად (ელექტრონული) გზამკვლევაა?
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- აღწერე, რით განსხვავდებოდა დავალებაზე შენ მიერ ამჟამად წარმართული მუშაობის პროცესი? რა გაითვალისწინე წინა გამოცდილებიდან?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების მიერ შესრულებული დავალებებისგან?

გრძელვადიანი მიზანი სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხი: საქართველო – საერთაშორისო მიგრაციების ქრილში ქვესაკითხები: ემიგრანტი, იმიგრანტი, რეპატრიაცია, მიგრაციის სალდო, შრომითი მიგრაცია, იძულებითი მიგრაცია	შუალედური სასწავლო მიზანი კომპლექსური დავალების პირობა
<p>მოსახლეობა და მეურნეობა</p> <p>შედეგები 3, 4.</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში. • სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვითარების დონეზე აისახება. <p>მდგრადი განვითარება შედეგები 1, 2, 3, 4.</p> <ul style="list-style-type: none"> • ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზნების (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) შესრულება აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის. 	<p>კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):</p> <p>I ეტაპი. კომპლექსური დავალების ფორმა ნაბიჯი 1 როგორ უნდა წარმოვჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?</p> <p>რესურსი/აქტივობები:</p> <p>რესურსი 1. როგორ შევქმნა რეფერატი http://www.rogor.ge/article_828_rogor-dawwerot-referati.html</p> <ul style="list-style-type: none"> • რა არის რეფერატი? • შეგიქმნია თუ არა რეფერატი? • როგორ შევქმნათ რეფერატი? • რა უნდა გავითვალისწინოთ რეფერატის მომზადებისას? • რა ნაბიჯები უნდა გადავადგა რეფერატის შესაქმნელად? • როგორ უნდა ავსახოთ რეფერატში ჩვენ მიერ განხორციელებული აქტივობები? <p>ეტაპი II. კომპლექსური დავალების შინაარსი ნაბიჯი 1. რა გავლენას ახდენს მიგრაციული ნაკადების ზრდა მოსახლეობის რაოდენობასა და სტრუქტურაზე და როგორ აისახება ის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სიტუაციაზე (მოსახლეობა და მეურნეობა მ.წ. 1, 2).</p> <p>რესურსი/აქტივობა:</p> <p>რესურსი 1. მოსწავლის წიგნი §7.</p> <ul style="list-style-type: none"> • რა არის მიგრაცია? • რატომ გადაადგილდებიან ადამიანები? • მიგრაციის რომელი სახეები იცი? • რომელი ქვეყნები გამოირჩევა განსაკუთრებული მიგრაციული ნაკადებით? • რა არის ემიგრანტი, იმიგრანტი, რეპატრიაცია, მიგრაციის სალდო, ლტოლვილი და დევნილი? • რომელი ქვეყნები გამოირჩევა მიგრაციის ახალი სახით – რეპატრიაციით? • რა ფაქტორები ახდენს გავლენას მოსახლეობის მიგრაციაზე? • რამ განაპირობა მიგრაციული ნაკადების ზრდა ბოლო პერიოდში? • როგორ აისახა მიგრაციული ნაკადების ზრდა მოსახლეობის რაოდენობასა და სტრუქტურაზე? • რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მასობრივ მიგრაციას მიმღები და გამცემი ქვეყნებისთვის? • როგორ შეიძლება შეიცვალოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული სიტუაცია მიგრაციული ნაკადების ზრდის პარალელურად? 	 <p>მიგრაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გლობალური პრობლემაა, რადგან არა მხოლოდ დემოგრაფიული, არამედ სერიოზული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის მიზეზიც ხდება და აერთიანებს სირთულეს ქმნის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. თანამედროვე მსოფლიოში ყოველდღიურად იზრდება სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული მიგრაციული ნაკადების რიცხვი. განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა შრომითა მიგრაციამ. გაერომ 1990 წელს 18 დეკემბერი მიგრანტთა საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. წარმოიდგინე, რომ ხარ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (მსო) წევრი და მიგრანტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცისთვის უნდა მოამზადო რეფერატი.</p> <p>რეფერატში მკაფიოდ წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • რა გავლენას ახდენს მიგრაციული ნაკადების ზრდა მოსახლეობის რაოდენობასა და სტრუქტურაზე და როგორ აისახება ეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე; (მოსახლეობა და მეურნეობა; მ.წ. 1, 2);

	<p>ნაბიჯი 2. რა გლობალური პრობლემები შეიძლება მოჰყვეს მიგრაციული ნაკადების ზრდას მომავალში და როგორ აისახება ეს პროცესი მიმღები და გამცემი ქვეყნების ბუნებრივ გარემოსა და საზოგადოებრივ სისტემებზე? (მდგრადი განვითარება; მ.წ. 1).</p> <p>რესურსი/აქტივობა: რესურსი 1. მიგრაციული პროცესები საქართველოში https://www.radiotavisupleba.ge/a/1522043.html რესურსი 2. მიგრაციები საქართველოში http://geoeconomics.ge/?p=13032-SromiTi</p> <ul style="list-style-type: none"> • რომელი მასშტაბური მიგრაციების შესახებ გსმენია? • რა გავლენას ახდენდა წარსულში ასეთი მასშტაბური მიგრაციები ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე (მაგ., ჯვაროსნული ლაშქრობები)? • რატომ იქცა მიგრაცია გლობალურ პრობლემად? • მიგრაციის რომელი ფორმა ჭარბობს დღეს მსოფლიოში? • როგორია საერთაშორისო შრომითი მიგრანტების დასაქმების სტრუქტურა დღევანდელ მსოფლიოში? • რა არის მიგრაციის სალდო და როგორ იცვლება ის მსოფლიოს რეგიონების მიხედვით? • როგორ აისახება მიგრანტთა ხვედრითი წილი და მიგრანტთა აბსოლუტური მაჩვენებელი მსოფლიოს ქვეყნებზე? • როგორ შეიძლება შეიცვალოს ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი, ეროვნული და რელიგიური სტრუქტურა მიგრაციული ნაკადების ზრდის შედეგად? • რა არის საქართველოდან მიგრაციული ნაკადების ზრდის მიზეზი და როგორ აისახა ეს პროცესი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასა და ეკონომიკაზე? <p>ნაბიჯი 3. რა ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს მომავალში მიგრაციული ნაკადების დარეგულირების მიზნით (მდგრადი განვითარება; მ.წ. 2).</p> <p>რესურსი/აქტივობა: რესურსი 1. მიგრაცია და საქართველო https://intermedia.ge/სტატია/58516-მიგრაცია-და-საქართველო/89/ რესურსი 2. საქართველოს კანონი მიგრაციის შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2806732?publication=3</p> <ul style="list-style-type: none"> • რა ღონისძიებები ტარდება ქვეყნებში მიგრაციული ნაკადების დარეგულირების მიზნით? • რა უფლება-მოვალეობა აქვს სახელმწიფოს შრომითი მიგრაციის სფეროში? • როგორ არეგულირებს კანონი მიგრაციის საკითხებს? • გამოთქვი საკუთარი ვარაუდი, რა ღონისძიებები უნდა გაატაროს სახელმწიფომ მიგრაციული ნაკადების კონტროლისა და მონესრიგების მიზნით? 	<ul style="list-style-type: none"> • რა გლობალური პრობლემები შეიძლება მოჰყვეს მიგრაციული ნაკადების ზრდას მომავალში? როგორ აისახება ეს პროცესი მიმღები თუ გამცემი ქვეყნების ბუნებრივ გარემოსა და საზოგადოებრივ სისტემებზე/ (მდგრადი განვითარება; მ.წ. 1). • რა ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს მომავალში მიგრაციული ნაკადების დარეგულირების მიზნით (მდგრადი განვითარება, მ.წ. 2). <p>ახსენი კვლევის პროცესი.</p> <p>მაკროცნება და მასთან დაკავშირებული კრიტერიუმი:</p>
--	---	---

	<p>ნაბიჯი 4 მოსწავლეთა მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები:</p> <ul style="list-style-type: none"> • აღწერე, როგორ წარმართე დავალებაზე მუშაობის პროცესი? • აღწერე, რა პროდუქტი შექმენი? • რა საკითხს ეხება შენ მიერ მომზადებული დავალება? • ახსენი, რატომ შექმენი რეფერატი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით? • რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად რეფერატია? • შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ? • რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? • რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? • მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? • შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? 	
--	--	--

<p>გრძელვადიანი მიზანი</p> <p>სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</p>	<p>საკითხი: „მწვანე რევოლუცია“ – დავაპუროთ მსოფლიო</p> <p>ქვესაკითხები: გეოგრაფიული გარსი, მეურნეობა, მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, მწვანე რევოლუცია, ნიადაგის ტიპები, ეროზია.</p>	<p>შუალედური სასწავლო მიზანი</p> <p>კომპლექსური დავალების პირობა</p>
<p>გეოგრაფიული გარსი შედეგები 1, 2, 3, 4.</p> <ul style="list-style-type: none"> • გეოგრაფიული გარსი შედეგება გეოსფეროებისაგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომელსაც ახასიათებს მთელი რიგი კანონზომიერებები; • ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს სხვა გეოსფეროებზე; <p>მდგრადი განვითარება შედეგები 1, 2, 3, 4.</p> <ul style="list-style-type: none"> • ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზნების (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) შესრულება აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის. 	<p>კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):</p> <p>ეტაპი I. კომპლექსური დავალების ფორმა ნაბიჯი 1. როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლო საკითხთან დაკავშირებით?</p> <p>რესურსი/აქტივობა: რესურსი 1. პროექტის შექმნა https://azry.gitbook.io/leasing-core-system-user-guide/projectsmanagementmodule/creatingproject</p> <p>რესურსი 2. პროექტის შაბლონი http://tamarkachia1984.blogspot.com/p/2-12-2.html</p> <ul style="list-style-type: none"> • რა არის სასკოლო პროექტი? • შეგიქმნიათ თუ არა პროექტი? • როგორ უნდა შექმნათ პროექტი? • რა უნდა გაითვალისწინოთ პროექტის მომზადებისას? • რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ პროექტის შესაქმნელად? <p>ეტაპი II. კომპლექსური დავალების შინაარსი ნაბიჯი 1</p> <ul style="list-style-type: none"> • რა გავლენას ახდენს გეოგრაფიული გარემო სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაზე და როგორ აისახა გეოგრაფიულ გარსზე „მწვანე რევოლუციით“ გამოწვეული ცვლილებები (გეოგრაფიული გარსი; მ.წ. 1, 2). <p>რესურსი/აქტივობა: რესურსი 1. https://ka.warbletoncouncil.org/revolucion-verde-15895 რესურსი 2. https://nationalgeographic.ge/story/kidev-erti-mwvane-revolucia/ რესურსი 3. https://agora.ge/new/24623-mts-vane-kontrrevolucia-rogor-apirebs-mecniereba-kacobriobis-gamokvebas რესურსი 4. მეურნეობის დარგები https://geocodna.wordpress.com/2012/11/09/მრეწველობა/ რესურსი 5. მწვანე რევოლუცია https://ka.leskanaris.com/6376-history-and-overview-of-the-green-revolution.html</p> <ul style="list-style-type: none"> • რა არის მეურნეობა? როგორია ქვეყნის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა? • რა არის სოფლის მეურნეობა? რომელ დარგებს მოიცავს სოფლის მეურნეობა? • რა ფაქტორები უწყობს ხელს სოფლის მეურნეობის განვითარებას? 	<p>დღეს მსოფლიოს მოსახლეობა საოცარი სისწრაფით იზრდება. თუ მოსახლეობის ზრდა ამ ტემპით გაგრძელდება, 2050 წლისთვის ის 9.7 მილიარდს, 2100 წლისთვის კი – 10.9 მილიარდს გადააჭარბებს. აქედან გამომდინარე, მსოფლიო დიდი გამოწვევის წინაშე დგას – შეზღუდული რესურსების პირობებში უნდა დაკმაყოფილდეს სურსათზე მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნები. წარმოიდგინე, რომ ხარ სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი და გევალება შეადგინო პროექტი, რომელშიც უნდა წარმოადგინო მოსახლეობის სურსათზე, კერძოდ, ხორბალზე გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზები.</p> <p>პროექტში ანგარიში მკაფიოდ წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • რა გავლენას ახდენს გეოგრაფიული გარემო სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაზე და როგორ აისახა გეოგრაფიულ გარსზე „მწვანე რევოლუციით“ გამოწვეული ცვლილებები? (გეოგრაფიული გარსი; მ.წ. 1, 2). • მზარდი მოთხოვნის პირობებში როგორ აისახება „მწვანე რევოლუციით“ გამოწვეული ცვლილებები, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა/უზრუნველყოფაზე და ნიადაგის დაბინძურებაზე; მ.წ. 1, 2).

<ul style="list-style-type: none"> • რა არის „მწვანე რევოლუცია“? • რამ განაპირობა „მწვანე რევოლუციის“ აუცილებლობა? • რომელია მოსახლეობის ძირითადი საკვები პროდუქტი და რისგან მზადდება ის? • რა არის მარცვლეული კულტურა? რომელია მარცვლეული კულტურები? • რომელი ქვეყნები გამოირჩევა მარცვლეული კულტურების წარმოებითა და მათი ექსპორტით? (§8 სოფლის მეურნეობა სურ. 7-8, ცხრილი 1.) • რა უპირატესობით გამოირჩევა მეცხოველეობა, მემცენარეობასთან შედარებით? • რა ინოვაციებით გამოირჩევა ისრაელის სახელმწიფო სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით? <p>ნაბიჯი 2 როგორ აისახება „მწვანე რევოლუციით“ გამოწვეული ცვლილებები მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა/უვნებლობაზე და ნიადაგის დაბინძურებაზე (მდგრა დი განვითარება; მ.წ. 1,2).</p> <p>რესურსი/აქტივობა: რესურსი 1. ნიადაგი https://ka.wikipedia.org/wiki/ნიადაგი რესურსი 2. ჰუმუსიანი ნიადაგი https://agronews.ge/niadagis-tipebi-niadagis-struqtura/ რესურსი 3. ნიადაგის სტრუქტურა https://ka.wikipedia.org/wiki/ნიადაგის_სტრუქტურა https://ka.wikipedia.org/wiki/კატეგორია:ნიადაგის_ტიპები რესურსი 4. ნიადაგის დაცვის საერთაშორისო დღე https://imedinews.ge/ge/politika/88321/5-dekemberi-niadagis-datsvis-msoplio-dgea</p> <ul style="list-style-type: none"> • რა არის ნიადაგი? ნიადაგის რომელი ტიპები იცი? • რამდენად მნიშვნელოვანია ნიადაგი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის? • რა არის ეროზია და რა სახის ეროზია არსებობს? • რომელი ბუნებრივი ფაქტორები განაპირობებს ნიადაგის დაბინძურებასა და ეროზიას? • რა გავლენას ახდენს ადამიანი ნიადაგის დაბინძურებასა და ეროზიაზე? • რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ნიადაგის დაბინძურებამ? (§11 ნიადაგის დაბინძურება და ეროზია). • რატომ მოხდა „მწვანე რევოლუცია“? • როგორ აისახა „მწვანე რევოლუციის“ შედეგები მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაზე? • რა გავლენა მოახდინა „მწვანე რევოლუციამ“ გარემოზე (ნიადაგზე)? • რატომ და როგორ უნდა შევინარჩუნოთ ნიადაგის ნაყოფიერება? • რა მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ ცნობიერებას ნიადაგის დაცვის საკითხებში? • რატომ იქცა ნიადაგის დაბინძურება გლობალურ პრობლემად? • რატომ აღნიშნავენ ნიადაგის დაცვის საერთაშორისო დღეს? 	<p>ახსენი კვლევის პროცესი</p> <p>მაკროცნება და მასთან დაკავშირებული კრიტერიუმი:</p>
--	---

	<p>ნაბიჯი 3 მოსწავლეთა მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები:</p> <ul style="list-style-type: none"> • აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი; • აღწერე რა პროდუქტი შექმენი; • რა საკითხს ეხება შენ მიერ მომზადებული დავალება? • ახსენი, რატომ შექმენი კვლევის პროექტი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით? • რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად კვლევის პროექტია? • შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ? • რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? • რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? • სხვა დროს თუ შეგისრულებია მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება? • შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? 	
--	--	--

შეფასება

რეკომენდაციები რუბრიკის პრაქტიკაში გამოსაყენებლად

პირველი ოთხი დონე (პრესტრუქტურული, უნიტრუქტურული, მულტისტრუქტურული, მიმართებითი) ყველა ცნებასთან მიმართებით პრაქტიკულად იდენტიურია, მეხუთე – აბსტრაქტული დონე კი საერთოა ყველა სამიზნე ცნებისთვის.

რუბრიკის გამოყენება შეიძლება საგნის ფარგლებში ნებისმიერ სამიზნე ცნებასთან მიმართებით. მასწავლებელი განმავითარებელი შეფასების კომენტარს ჩაწერს მხოლოდ იმ გრაფაში, რომელ სამიზნე ცნებასაც ამონმებს და რომელ დონეზეც არის მოსწავლე.

ეს რუბრიკა განკუთვნილია განმავითარებელი შეფასებისთვის და არა – ტესტების შესამოწმებლად, სადაც ყურადღება ექცევა ტერმინებს – „აღწერე-ახსენი-შეაფასე“.

მოსწავლის წიგნში მოცემული კითხვებისა და დავალებების პასუხები

§ 1. მოსახლეობის ცვლილება



- თაობათა მუდმივი ცვლის, განახლების პროცესს, აღწარმოება ეწოდება.
- ბუნებრივ მოძრაობაში იგულისხმება ადამიანთა შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტი. თუ შობადობის კოეფიციენტი აღემატება მოკვდაობის კოეფიციენტს საქმე გვაქვს ბუნებრივმატებასთან და პირიქით. შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტი გამოისახება პრომილებით (მაგალითად, თუ შობადობის კოეფიციენტია 20‰, ხოლო სიკვდილიანობა 15‰, მაშინ $20‰ - 15‰ = 5‰$ ანუ საქმე გვაქვს ბუნებრივმატებასთან).
- მე-2 ცხრილი გვიჩვენებს კონკრეტული ქვეყნების მოკვდაობის მაჩვენებლებს (2015). ცხრილიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა: მოკვდაობის მაღალი მაჩვენებლები შეინიშნება: ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში – 15.3 ‰, ბულგარეთში – 15.0 ‰, უკრაინაში – 14.9 ‰, ლატვიაში – 14.3 ‰, ჩადში – 14.0 ‰, სიერა ლეონეში 13.9 ‰.

ამ ქვეყნებში მაღალი მოკვდაობის მიზეზები განსხვავებულია: ცენტრალურ აფრიკაში, ჩადსა და სიერა-ლეონეში ეს მაჩვენებელი გამოწვეულია მედიცინის დაბალი დონით, ჰიგიენური პრობლემებით, სიღარიბით, საკვების დეფიციტით. რაც შეეხება უკრაინას, აქ მოკვდაობის მაღალი კოეფიციენტი განპირობებულია ეკოლოგიური და პოლიტიკურ პრობლემებით (ჩერნობილის ავარია), ხოლო ლატვიასა და ბელარუსში ხანდაზმულთა ხვედრითი წილის მაღალი მაჩვენებლებით.

დანარჩენი ქვეყნები: არაბთა გაერთიანებული საემიროები, კატარი, ბაჰრეინი, ქუვეითი, ომანი, ბრუნეი ნავთობ-მომპოვებელი ქვეყნებია, რომლებისთვისაც დამახასიათებელია მატერიალური კეთილდღეობა და განვითარებული ჯანდაცვის სისტემა, ასევე მაღალი ბუნებრივი ნამატიც. ახალგაზრდების ხვედრითი წილი რამდენჯერმე აღემატება ხანდაზმულთა რაოდენობას. შესაბამისად მოკვდაობის კოეფიციენტიც დაბალია.



1. მოკვდაობის დონის შემცირების მიზეზია: მედიცინის განვითარება, ვაკცინაცია, ჰიგიენური პრობლემის მოგვარება, საკვები პროდუქტების რაოდენობის ზრდა, ხარისხის გაუმჯობესება.

§ 2. მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა



- დაბერებას ხელს უწყობს გამრავლების დაბალი ტემპი, რის შედეგადაც მცირდება ახალგაზრდა მოსახლეობის ხვედრითი წილი, ასევე ეკონომიკის დაბალი დონე, რაც იწვევს ახალგაზრდების მიგრაციის გაძლიერებას სხვა ქვეყნებში.
- იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია ხანდაზმული მოსახლეობის ხვედრითი წილი, აღინიშნება შემდეგი პრობლემები: მცირდება შრომით საქმიანობაში ჩართული მოსახლეობის რიცხვი. ეს ზრდის დასაქმებული ადამიანების კმაყოფაზე მყოფთა რაოდენობასა და სახელმწიფოს დანახარჯებს სოციალური უზრუნველყოფისათვის. ასევე დაბერების პროცესთანაა დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სხვა სახის პრობლემებიც.
- ასაკისმატებასთან ერთად ძირითადად იზრდება ქალების ხვედრითი წილი;
- სქესობრივი სტრუქტურა დარღვეულია ბევრ ქვეყანაში. გამომწვევი მიზეზები განსხვავებულია. მაგალითად, ომები, მასშტაბური მიგრაციები, არაპროპორციული შობადობა, ქალთა უფლებების დარღვევა, განაპირობებს მაღალ მოკვდაობას ქალებში. განსაკუთრებით აზიის ქვეყნებში, სადაც ჭარბობენ მამაკაცები. ასეთი ქვეყნებია: კატარი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ინდოეთი, პაკისტანი, ავღანეთი. ევროპაში კი პირიქით – შეინიშნება უკუპროცესები. აქ ქალის როლი უფრო დიდია, რაც ზრდის მათ რაოდენობას მამაკაცებთან შედარებით.



1. მე-17 სურათზე მოცემულია სამი ქვეყნის – სინგაპურის, ტაილანდისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების სექსობრივ-ასაკობრივი პირამიდები. მოცემული პირამიდების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ:

ა) სინგაპურის პირამიდა სწრაფად მზარდია, რაც განპირობებულია მაღალი ბუნებრივი მატებით, ამიტომ საქმე გვაქვს გაფართოებულ აღწარმოებასთან;

ბ) ტაილანდის სექსობრივ-ასაკობრივი პირამიდის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ რეგულარულია. ახალგაზრდების ხვედრითი წილი რიცხობრივად ჩამორჩება 40-60 წლის მოსახლეობის ხვედრით წილს. აღწარმოება შეზღუდულია, მიზეზი ახალგაზრდა მოსახლეობის მიგრაციაა;

გ) არაბთა გაერთიანებული საამიროების პირამიდაც რეგულარულია – იმყოფება შეზღუდულ აღწარმოებაში. აქ ასაკობრივ ჯგუფებს შორის მკვეთრი სხვაობაა როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა შორის. რიცხობრივად, განსაკუთრებით 25 წლის ზევით, მამაკაცების რაოდენობა რამდენჯერმე აღემატება ქალების რაოდენობას. მიზეზი შრომითი მიგრაციაა (აზიის განვითარებადი ქვეყნებიდან).

§ 3. მოსახლეობის ენობრივი სტრუქტურა



- ბილინგვიზმი ნიშნავს ორენოვან სახელმწიფოს;
- ჩრდილოეთი ამერიკა – კანადა: ფრანგული, ინგლისური; ევროპა – ბელგია: ჰოლანდიური, ფრანგული; აფრიკა – კამერუნი: ფრანგული, ინგლისური; ჩადი: ფრანგული, არაბული;
- ენათა ოჯახებისა და ჯგუფების გავრცელების საზღვრები განუწყვეტილად იცვლებოდა ისტორიის განმავლობაში, ახალი მიწების ათვისებისას და კოლონიზაციის შედეგად ეთნიკური-კულტურის შერწყმისას;
- საქართველოს მეზობლად ინდოევროპული ენების ოჯახს მიეკუთვნება რუსული.

§ 4. აღწარმოების ტიპები



- აღწარმოების ტიპები ერთმანეთისგან განსხვავდება მეურნეობისა და მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის განვითარების თავისებურებებითა და ბუნებრივი მოძრაობით.
- უახლოესი (დეპოპულაციური) აღწარმოების ტიპი გამოირჩევა დაბალი შობადობითა და მაღალი მოკვდაობით.
- დეპოპულაცია არის მოსახლეობის სწრაფი შემცირება, როდესაც შობადობა ნაკლებია მოკვდაობაზე, რასაც შეიძლება მოჰყვეს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესება. ეს კი გამოიწვევს მოსახლეობის ბუნებრივი მატების ნულოვან დონეს ან ძალიან უმნიშვნელო მატებას.
- ბუნებრივი მატების მაჩვენებელი განსხვავებულია, რადგან მოსახლეობა წლების განმავლობაში ვითარდებოდა, ყალიბდებოდა და იხვენებოდა. მათი საქმიანობა, მრეწველობა, წარმოება ზრდიდა მრავალფეროვან მოთხოვნილებებს. ყველა ეს ფაქტორი განაპირობებს მოსახლეობის შემცირებას, ზოგჯერ კი – ზრდას, რაც თავისთავად იწვევს ოთხივე პერიოდში მაჩვენებლების განსხვავებას.



მე-12 სურათზე ასახულია ბანგლადეშის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა 2011-დან 2021 წლამდე. ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ მოსახლეობის რაოდენობა 5-ჯერ გაიზარდა, ასეთი სწრაფი ზრდის მიზეზი მრეწველობისა და მედიცინის განვითარებაა. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ ყოველი დაბადებული ბავშვი მუშახელია ოჯახისთვის, ასევე შობადობის ზრდა დაკავშირებულია მოსახლეობის განათლების დაბალ დონესა და რელიგიასთან.

§ 5. დემოგრაფიული გადასვლა



- დემოგრაფიული გადასვლის პროცესში ძირეული დემოგრაფიული ცვლილებები ხდება, კერძოდ, შობადობისა და მოკვდაობის მაღალი დონიდან დაბალ დონეზე გადასვლა, რასაც შედეგად მოსდევს მოსახლეობის აღწარმოების ტიპის ცვლილება.
- იქიდან გამომდინარე, რომ მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში აღინიშნება განვითარების დონის ამაღლება, ახალგაზრდობის უმრავლესობა ჩართულია ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საქმიანობაში, რაც თავისთავად იწვევს ახალგაზრდა თაობაში ქორწინების შემცირებასა და უშვილო ოჯახების რაოდენობის ზრდას. ეს განაპირობებს შობადობის დაბალ მაჩვენებელს: მე-5 ფაზა ამისი კლასიკური მაგალითია.
- ევროპის განვითარებული ქვეყნები დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე ფაზაშია, ვინაიდან აქ შობადობის დაბალი მაჩვენებელია, აგრეთვე ქალი აქტიურად არის ჩართული სანარმოო და არასანარმოო სფეროში; ამას ემატება გვიანი ქორწინებაც და მოსახლეობის ასაკობრივი ხანდაზმულობაც. აფრიკის ქვეყნები განვითარებადია. აქ აღწარმოება გაფართოებულია, ამიტომაც მათთვის დამახასიათებელია მესამე ფაზა.
- მეხუთე ფაზაში შეიძლება გადავიდეს ყველა განვითარებული ქვეყანა, აგრეთვე ის განვითარებადი ქვეყნები, რომელთათვისაც დამახასიათებელია მზარდი ეკონომიკური წინსვლა.



ნიგერია	საფრანგეთი
იზრდება მოსახლეობის რაოდენობა, მაღალია ბუნებრივი მოძრაობა	მცირდება მოსახლეობის რაოდენობა, დაბალი ბუნებრივი მატება
დემოგრაფიული გადასვლის მესამე ფაზა	დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე ფაზა
განვითარებადი ქვეყანა	განვითარებული ქვეყანა

§ 6 დემოგრაფიული პოლიტიკა



- დემოგრაფიული პოლიტიკა ღონისძიებათა სხვადასხვა სისტემაა, რომელიც მიმართულია მოსახლეობის შობადობის დარეგულირებისკენ.
- განვითარებულ ქვეყნებში სანარმოო და არასანარმოო სფეროში ქალის როლის ზრდამ განაპირობა შობადობის კლება.
- მოსახლეობის კლება შეინიშნება ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპასა და ავსტრალიაში, მოსახლეობის მატება – ლათინურ ამერიკაში, აფრიკასა და აზიაში.
- ჩინეთში მოქმედებს კანონი ქორწინების შესახებ, შეიქმნა შობადობის დაგეგმვის კომიტეტი, რომელმაც აკრძალა ადრეული ქორწინება, გაზარდა დრო ბავშვების დაბადებას შორის და წაახალისა ერთშვილიანი ოჯახები. ინდოეთმა სახელმწიფო რანგში აიყვანა შობადობაზე კონტროლი, თუმცა დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებას ხელს უშლის მოსახლეობის განათლების დაბალი დონე, ქალთა უუფლებო მდგომარეობა საზოგადოებასა და ოჯახში, რელიგიური იდეოლოგია და ფინანსური საშუალებების ნაკლებობა.



მე-2 სურათზე ნათლად ჩანს 2019 წლისათვის შობადობის ზრდა ისეთ ქვეყნებში, როგორც არის საფრანგეთი, ისლანდია, შვედეთი, ირლანდია. ეს განპირობებულია იმით, რომ ამ ქვეყნებში ტარდება დემოგრაფიული წამახალისებელი პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ოჯახის დაგეგმვას და დაზღვევას, შეღავათებს გადასახადებზე, ჯანდაცვაზე და სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებზე. რაც ხელს უწყობს მრავალშვილიანობას და შობადობის ზრდას ევროპის ქვეყნებში.

§ 7. მიგრაცია



- მიგრანტი – პირი, რომელიც ნებაყოფლობით ტოვებს თავის ქვეყანას და მიდის სხვა ქვეყანაში უკეთესი ცხოვრების საძიებლად. იგი თავისი ქვეყნისთვის ემიგრანტია. იმიგრანტი – უცხოელი, რომელიც შემოდის სახელმწიფოში სამუდამოდ ან დროებით დასახლების მიზნით.
- მიგრაციას იწვევს სოციალურ-ეკონომიკური და ბუნებრივი ფაქტორები.
- რეპატრიაცია გულისხმობს ადამიანის მიერ თავისი მოქალაქეობის ქვეყნის დატოვებასა და წინაპრების სამშობლოში სამუდამოდ დაბრუნებას.
- ინდუსტრიალიზაციისა და განვითარების დონის ამაღლებამ ევროპის ქვეყნების მიგრაციის კერებად გადაქცევა გამოიწვია.



1. მსოფლიოს მიგრაციის ნაკადების მიმართულების შეცვლა შეიძლება გამოიწვიოს გლობალურმა კლიმატურმა ცვლილებამ, ეკოლოგიურმა კატასტროფებმა და ომებმა.
2. აქ მოცემულია ლინკი, რომლის საშუალებითაც ნახავთ ინფორმაციას ქართველი მიგრანტების შესახებ.

<http://guriismoambe.com/archives/15630>

§ 8. მსოფლიო მეურნეობა



- ადამიანთა საზოგადოებისა და ინდუსტრიალიზაციის განვითარება ცვლის მეურნეობასა და მის დარგობრივ სტრუქტურას, რადგან ვითარდება და იხვეწება ტექნოლოგიები, იზრდება მოთხოვნილებები, რაც ხელს უწყობს მეურნეობის განვითარებას.
- მატერიალური სფერო მოიპოვებს ნედლეულს და ქმნის პროდუქციას, ხოლო არამატერიალური უზრუნველყოფს მის რეალიზაციას.
- მსოფლიოს უმეტესი ქვეყნები იმიტომ არის განვითარებადი, რომ ისინი საუკუნეების განმავლობაში ევროპის ქვეყნების კოლონიებს წარმოადგენდნენ.
- მოსახლეობის ცხოვრების დონეს ასახავს გაეროს მიერ შემუშავებული ჰუმანური ინდექსი, რომელიც ემყარება ძირითადად სამ კრიტერიუმს: ერთიან ეროვნულ პროდუქტს, (მშპ), სისიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასა და განათლების დონეს.



22-ე სურათზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით დაბალი ჰუმანური ინდექსი აქვს კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ხოლო მაღალი – გერმანიას. მათ შორის განსხვავება დიდია, რადგან გერმანია მშპ-ს მაჩვენებლით მაღალგანვითარებული ქვეყანაა, ხოლო კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მშპ-ს მაჩვენებელი დაბალია. რაც მისი ჰუმანური განვითარების დაბალ დონეს განაპირობებს.

§ 9. მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა



- ეს სქემა გვიჩვენებს როგორც მსოფლიო მეურნეობის დაყოფას მატერიალურ და არამატერიალურ სფეროებად, ასევე მათში შემავალი სამეურნეო დარგების კლასიფიცირებას.
- გეოგრაფიული მდებარეობის გამო განვითარებული ჩრდილოეთის ქვეყნების ჯგუფს მოვაკლებდი ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს, რუმინეთს, ბულგარეთს, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებს.
- განვითარებადი სამხრეთის ქვეყნების ჯგუფს დავამატებდი: ცენტრალური ამერიკის, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს.

- თანამედროვე მსოფლიო მეურნეობას აღარ აქვს საზღვრები – მისი განვითარების მასშტაბები გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და გახდა გლობალური. ეს განაპირობებს ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირსა და დამოკიდებულებას.



1. აგრარული ქვეყნებია: მონღოლეთი, საქართველო, კონგო, ეთიოპია, ჰონდურასი. ინდუსტრიული ქვეყნები: გერმანია, სინგაპური, იტალია, ჩილე, ბრაზილია; პოსტინდუსტრიული: აშშ, იაპონია, გაერთიანებული სამეფო და ჩრდილოეთი ირლანდია, საფრანგეთი.

2. ხე-ტყის მეურნეობა (ხის მოჭრა და შემდგომი გადამუშავება) პირველადი დარგია, ცე-ლულოზა-ქაღალდის წარმოება – მეორეული დარგია, ვაჭრობა-ტრანსპორტირება სავაჭრო ობიექტებში – მესამეული დარგია.

§ 10. სოფლის მეურნეობა



- სოფლის მეურნეობის განვითარებას ბუნებრივ პირობებთან ერთად განაპირობებს ქიმიზაცია, მექანიზაცია, ავტომატიზაცია და მელიორაცია.
- სატყეო მეურნეობა მიეკუთვნება დამუშავებით მრეწველობას, ხოლო თევზჭერა – მოპოვებითს.
- მოსახლეობას ადგილობრივი წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქტებით უზრუნველყოფა ცივ და ცხელ სარტყლებში განსხვავებულია? ცივ სარტყელში ამისათვის გამოიყენება თანამედროვე სტანდარტების სასათბურე მეურნეობები, ხოლო თბილში — ირიგაციისა და ბიომეურნეობების უახლესი ტექნოლოგიები (ამის კარგი მაგალითია ისრაელი). ამან, ფაქტობრივად მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა პროდუქცია ხელმისაწვდომი გახადა.
- მესაქონლეობის განვითარებისთვის საჭიროა საძოვრები და ნედლეული, რაც მთაგორიანი ქვეყნებისთვის ხელმისაწვდომია. ეს დარგი განვითარებულია, როგორც ბარში, ისე მთაში. მემცენარეობისათვის კი გადამწყვეტია კლიმატური პირობები. კლიმატის ნაირგვარობა ხელს უშლის მემცენარეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას.



1. საწარმოო დარგებიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტს, ვინაიდან მისი საშუალებით ხდება პროდუქციის მიწოდება გადამამუშავებელი საწარმოებისა და მომხმარებლებისათვის.
2. გააჩნია, სოფლის მეურნეობის რომელ დარგს ავირჩევდი და ამის მიხედვით გადაწყვეტილ რას შევიძინ – ტრაქტორს, კომბაინს, ტექნოლოგიურ ხაზსა თუ სხვა საჭირო ინვენტარს.

§ 11. „მწვანე რევოლუცია“



- ნორმან ბორლოგმა შეაჯვარა მექსიკური ხორბლის ჯიშები იაპონურთან და გამოიყვანა მაღალეფექტური ჯიშები, რომლებიც ამტანი გამოდგა მექსიკის ცხელი კლიმატისათვის.
- შიბრიდული პროდუქციის წარმოებით „მწვანე რევოლუციამ“ არაერთი ქვეყანა იხსნა შიმშილისაგან.
- მწვანე რევოლუციის არ არსებობის შემთხვევაში მოხდებოდა მოსახლეობის მასობრივი შიმშილი. საკვების დეფიციტიდან გამომდინარე. ამის მაგალითია ინდოეთი, როცა 1943 წელს შიმშილისაგან 4 მლნ. ადამიანი გარდაიცვალა.
- ამ ეტაპზე ახალი „მწვანე რევოლუცია“ საჭირო არ არის, თუმცა სელექციური შერჩევა და ახალი ჯიშების გამოყვანა მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს.



მოცემული სქემიდან გამომდინარე ორგანული მინათმოქმედების განვითარებისათვის საქართველოში არსებობს შესაბამისი პირობები. ჩვენ ქვეყანას, მისი უნიკალური ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, კარგი პერსპექტივა აქვს გახდეს ბიოპროდუქციის მნიშვნელოვანი მწარმოებელი. იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის ექსპორტს ახორციელებენ, საქართველოცაა, თუმცა ბიოპროდუქციის ექსპორტის მოცულობა ჯერჯერობით ძალიან მცირეა. ბიომეურნეობის განვითარება მხარდაჭერილია კანონმდებლობით. სულ უფრო იზრდება ბიომეურნეობების რიცხვი (დღეისთვის 20 ბიომეურნეობაა) და ბიოპროდუქტების მომხმარებელთა რაოდენობა (მათი რაოდენობა 50 ათასს აღწევს).

§ 12. ნიადაგის დაბინძურება და ეროზია



- დაბინძურებული ნიადაგი გავლენას ახდენს როგორც ბუნებრივ პირობებზე, ასევე ცოცხალ გარემოზე, სადაც მნიშვნელოვანია ადამიანი.
- ნიადაგის ხარისხის გაუარესებას იწვევს მისი დაბინძურება: პესტიციდებით, შხამქიმიკატებით, რადიოაქტიური და პოლიეთილენის ნარჩენებითა და სასუქებით.
- „ევროპული ნიადაგის ქარტიის“ მიზანი იყო ნიადაგის ძვირფას რესურსად გამოცხადება, რომელსაც დაცვა სჭირდება.
- რადიოაქტიური ნივთიერებები განსაკუთრებით საშიშია, რადგან დიდხანს ინარჩუნებს რადიაციის მაღალ მაჩვენებელს, რაც უარყოფითად მოქმედებს ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმზე.
- ნიადაგის ეროზიის დროს ზიანდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ჩნდება ხრამები, ხევები და ხეობები. ზიანდება ადამიანისთვის სასარგებლო გარემო.
- ნიადაგის ეროზიას ხელს უწყობს ისეთი ბუნებრივი პროცესები, როგორებიცაა: მზისმიერი, წყლისმიერი და ქარისმიერი გამოფიტვა.

მოსწავლის რვეულში მოცემულ დავალებათა პასუხები

§ 1 მოსახლეობის ცვლილება

1.


განათლების დაბალი დონე, რელიგია, ქალის უფლებების დისკრიმინაცია, მრავალცოლიანობა.

2.

ა) მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად: 1-დან – 1900 წლამდე, 1900-იდან 2000 წლამდე და 2000 წლიდან დღემდე.

ბ) ამ სამი ეტაპის ცვლილება გვიჩვენებს, რომ პირველ ეტაპზე მოსახლეობა ძალიან ნელი ტემპით იზრდებოდა, მიუხედავად მაღალი შობადობისა. მიზეზი მაღალი მოკვდაობაა, რასაც იწვევდა იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ცხოვრების დაბალი დონე. მეორე ეტაპიდან შეინიშნება მოსახლეობის ზრდა, რაც განაპირობა ტექნიკურმა რევოლუციამ, მედიცინის განვითარებამ, ვაქცინაციამ და ჰიგიენური პრობლემების მოგვარებამ. მესამე ეტაპი კვლავ მოსახლეობის ზრდის ტემპით გამოირჩევა, თუმცა ზრდა 1950-2000 წლებთან შედარებით ნაკლებია. ამის მიზეზი კი მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარება და ქალის ემანსიპაციაა.

3.



4.

რეგიონი	დაიბადა, %	გარდაიცვალა, %	ბუნებრივი მატება, %
ევროპა	11.8	12.1	0.3
აფრიკა	42.3	10.4	31.9
აზია	31.4	8.3	23.1
ლათინური ამერიკა	19.8	6.7	13.1
ჩრდილოეთი ამერიკა	12.5	9.3	3.2
ავსტრალია და ოკეანეთი	16.2	5.8	10.4
მსოფლიო	21.7	8.8	12.9

5.

რელიგია დიდი გავლენას ახდენს ბუნებრივ მოძრაობაზე, რადგანაც ისლამურ სახელმწიფოებში მრავალცოლიანობაა, რაც ზრდის ამ ქვეყნებში მოსახლეობის რაოდენობას.

6.

დიაგრამაზე კარგად ჩანს, რომ 1960 წლიდან 2017 წლამდე ქორწინების მაჩვენებელი ყოველწლიურად მცირდებოდა. ამავე დროს, იზრდება განქორწინებულთა რაოდენობაც. უმეტესად ამის მიზეზია, საზოგადოების მენტალიტეტის ცვლილება, ადრეული ქორწინებები განვითარებად ქვეყნებში (აზიისა და აფრიკის ქვეყნები), არასრულფასოვანი სქესობრივი განვითარება.

7.

რუკის მიხედვით, მაღალი მოკვდაობით გამოირჩევა: ჩადი, სომალი, ნიგერია, ზამბეზი, ავღანეთი, ბოტსვანა, ზიმბაბვე; დაბალი მოკვდაობით: იაპონია, ჩინეთი, თურქეთი, ირანი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ომანი, კატარი.

ასეთი შედეგები გამოიწვია:

აფრიკის ქვეყნებში მაღალი მოკვდაობის გამომწვევ მიზეზებად ფაქტობრივად შეიძლება დავასახელოთ ცუდად განვითარებული მედიცინა, განათლების დაბალი დონე და მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, ასევე სამხედრო კონფლიქტები.

განსხვავებული სურათია იმ ქვეყნებში, სადაც დაბალია მოკვდაობის მაჩვენებელი. აქ პირიქითაა – ქვეყნები გამოირჩევიან ეკონომიკის ზრდით, განვითარებული მედიცინით, გამართული სოციალური პაკეტებით; ამას ემატება მაღალი შობადობა ზოგიერთ ქვეყანაში.

8.

ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, რუსეთი, აშშ, ბანგლადეში, პაკისტანი, იაპონია, მექსიკა, ნიგერია, ინდონეზია.

9.

მსოფლიოში დემოგრაფიული აფეთქება გამოიწვია როგორც უკონტროლო შობადობამ, რელიგიამ და მრავალცოლიანობამ, ასევე დემოგრაფიული აფეთქების დასაწყისში ინდუსტრიალიზაციის განვითარებამ. შემდგომში კი – აფრიკისა და აზიის ქვეყნების განვითარების დაბალმა დონემ.


10.

ა) ყველაზე დაბალი იყო 2014 წელს –13618 კაცი;

ბ) გამოთვლილია ყველა წლის მიხედვით ბუნებრივი მატების კოეფიციენტი: 2010-ში — (-8048), 2011-ში — (-6648), 2012-ში — (-5466), 2013-ში — (6033), 2014-ში — (6219). ამ მონაცემებიდან გამომდინარე, ყველაზე მაღალი უარყოფითი ბუნებრივი მატების დაბალი მაჩვენებელი გამოვლინდა 2010-ში (-8048) კაცი.

გ) 2012 წლისათვის ბუნებრივი მატება იყო 5466 კაცი; $19857-14391 = -5466$ კაცი.


	მთლიანი მოსახლეობა	0-14 წლის მოსახლეობა (%)	15-64 წლის მოსახლეობა (%)	65+ ასაკის მოსახლეობა (%)
1950 წ	37 860 000	41.7	55.3	3.0
1955 წ	41 122 000	41.6	55.6	2.8
1960 წ	45 212 000	41.6	55.6	2.8
1965 წ	50 239 000	41.9	55.2	2.9
1970 წ	56 132 000	42.6	54.6	2.8
1975 წ	63 566 000	43.4	53.8	2.8
1980 წ	73 698 000	44.0	53.2	2.8
1985 წ	83 902 000	45.0	52.2	2.8
1990 წ	95 617 000	44.9	52.3	2.9
1995 წ	108 425 000	44.1	53.0	2.9
2000 წ	122 877 000	43.5	53.7	2.8
2005 წ	139 586 000	43.6	53.7	2.7
2010 წელი	159 708 000	44.0	53.2	2.7



12.

ნიგერია (2020)				
ასაკობრივი ჯგუფი	მამაკაცები	მამაკაცები %	ქალები	ქალები %
0-4	16,813,967	7.9	16,053,449	7.5
5-9	15,044,440	7.0	14,423,094	6.7
10-14	13,713,331	6.4	13,198,226	6.2
15-19	12,130,595	5.7	11,720,651	5.5
20-24	9,892,065	4.6	9,638,102	4.5
25-29	7,850,577	3.7	7,734,216	3.6
30-34	6,751,995	3.2	6,718,188	3.1
35-39	5,944,240	2.8	5,948,352	2.8
40-44	5,013,838	2.3	5,014,734	2.3
45-49	4,044,321	1.9	4,037,313	1.9
50-54	3,203,942	1.5	3,233,671	1.5
55-59	2,475,859	1.2	2,552,575	1.2
60-64	1,851,988	0.9	1,961,689	0.9
65-69	1,374,968	0.6	1,501,109	0.7
70-74	979,963	0.5	1,085,776	0.5
75-79	593,642	0.3	672,316	0.3
80-84	274,821	0.1	331,556	0.2
85+	105,689	0.0	143,044	0.1
		50.5		49.5
სულ	214,028,302			

ნიგერიის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა (2020წ.)




§ 2 მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა

1.

ა) მსოფლიოს მოსახლეობის სტრუქტურა ასაკის მიხედვით მუდმივად იზრდება 1950 წლიდან დღემდე. განსაკუთრებით ეს ეხება 15-59 წლის მოსახლეობას.

ბ) ამის მიზეზია მსოფლიოში ომების შემცირება; ინდუსტრიალიზაციისა და ახალი ტექნოლოგიების გაზრდა, რამაც განაპირობა 15-59 წლის მოსახლეობის ჩართულობა ამ დარგებში.

2.



მოცემულ გრაფიკზე ნათლად ჩანს, რომ აფრიკის ქვეყნებში 65 წელს გადაცილებული ქალების შრომითი აქტიურობა უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებისა. თუმცა, მამაკაცების შრომითი აქტიურობა სხვა კონტინენტებთან შედარებით მაღალია. რადგან აფრიკაში უმუშევრობის დონე მაღალია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობა სამრეწველო საქმიანობაში აქტიურად არ არის ჩაბმული.

3.


ბიჭების რაოდენობის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა: ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი, ვიეტნამი, აზერბაიჯანი.

ბიჭების რაოდენობის დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა: ზამბეზი, ნამიბია, ბენინი, გვინეა, მოზამბიკი.

4.

დ) ცხოვრების ხარისხის დონე

5.



გრაფიკიდან ჩანს, რომ კონტინენტებიდან გამოირჩევა აფრიკა, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა 0-დან 19 წლამდე ასაკისაა, 60-წელს გადაცილებული მოსახლეობის ხვედრითი წილი კი მინიმალურია. შესაბამისად, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაც დაბალია. დანარჩენ კონტინენტებზე 0-დან 19 წლამდე მოსახლეობის რაოდენობა თითქმის თანაბარია, ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით გამოირჩევა ევროპა და ჩრდილოეთი ამერიკა.

§ 3 მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა

1.

ესპანური, ინდური, არაბული, მალაურ-ინდონეზიური, რუსული, ქართული, ბრაზილიური, პორტუგალიური, ამერიკული, ჰინდი.

2.

ენის ჯგუფი	ეთნოსი	ქვეყანა
გერმანული	გერმანელები, ფრიზები, ჰოლანდიელები, შოტლანდიელები, ავსტრიელები, ნორვეგიელები	გერმანია, ნიდერლანდები, საფრანგეთი
სლავური	რუსები, ბულგარელები, უკრაინელები, მაკედონელები, სლოვაკები, სლოვენები	რუსეთი, უკრაინა, მაკედონია, პოლონეთი, ბულგარეთი
რომანული	ესპანელები, ფრანგები, ვალონები, გლაციელები, მოლდოველები, რუმინელები	ესპანეთი, მოლდოვა, რუმინეთი

3.

კვიპროსის კონფლიქტი 1974 წლიდან იწყება, ქვეყანამ 1960 წელს მოიპოვა დამოუკიდებლობა. მოსახლეობის 78% ბერძენია, ხოლო 18% – თურქი. ქვეყანა იყო დუალისტური, სადაც კვოტების სახით იყო თანამდებობები გადანაწილებული თურქებსა და ბერძნებს შორის. ბერძნების ნაწილი ქვეყნის დამოუკიდებლობას არ უჭერდა მხარს, ერჩივნა საბერძნეთთან შეერთება, რის შემდეგაც 1974 წელს სწორედ მათმა დაჯგუფებამ მოახერხა გადატრიალება. საპასუხოდ თურქეთმა კვიპროსზე თავისი ჯარი გადასხა. კუნძულის 40% ოკუპირებული იყო თურქების მიერ. რა თქმა უნდა, ეს ტერიტორია მხოლოდ თურქების მიერ იქნა აღიარებული. საბერძნეთთან შეერთების მსურველთა მცდელობა გადატრიალების შესახებ მალევე აღიკვეთა და კვიპროსის რესპუბლიკა მალევე აღდგა. თურქეთის ნაწილმა უარი თქვა ძველ სტატუსზე, რის გამოც კონფლიქტი გაჭიანურდა.

4.

ეს ქვეყნები ისტორიულად წამყვანი სახელმწიფოები იყვნენ VXVII-XVIII საუკუნეებში. მათ დაიპყრეს და აითვისეს მსოფლიოს სხვადასხვა ტერიტორია. თავის კოლონიებად აქციეს მრავალი ქვეყანა, რამაც თავისთავად გავლენა იქონია სწორედ ამ სახელმწიფოებზე. განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო ამერიკის კონტინენტების ათვისება, სადაც მრავალი ევროპელი გადასახლდა, რამაც გამოიწვია ამ ენების ფართოდ გავრცელება და თანამედროვე პერიოდში დღევანდელი სახე მიიღო.

§ 4 აღწარმოების ტიპები

1.

№	მტკიცებულება	კი	არა
1	ტრადიციული აღწარმოების ტიპი დამახასიათებელი იყო პალეოლითის ხანაში, როცა ადამიანი დამოკიდებული იყო ბუნებაზე.		არა
2	უახლესი აღწარმოების ტიპი ევროპისა და აფრიკის კონტინენტებისათვის არის დამახასიათებელი, როცა შობადობა მზარდია.		არა
3	აღწარმოების არქეტიპი დამახასიათებელია იმ პერიოდისთვის, როცა განვითარებული იყო მითვისებითი მეურნეობა.	კი	
4	თანამედროვე აღწარმოების ტიპი დამახასიათებელია მრეწველობის განვითარებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზრდის პერიოდისათვის	კი	

2.

გაფართოებულ ჯგუფში შვილების თაობა მეტია მშობლების თაობაზე (ოჯახში სამი და მეტი შვილი), ე.ი. მაღალია მოსახლეობის ბუნებრივი მატება. ამ ჯგუფში შედის აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები.

მარტივ ჯგუფში შვილების თაობა თითქმის იგივეა, რაც მშობლებისა (ოჯახში ორი შვილი), შობადობაც და მოკვდაობაც დაბალია (თითქმის თანაბარია). ბუნებრივი მატება უმნიშვნელოა. ჯგუფში შედის ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნების უმეტესობა.

შეზღუდულ ჯგუფში მშობლების რაოდენობა მეტია (ოჯახში ერთი შვილია). ამ ჯგუფში შედის ის ქვეყნები, სადაც მოკვდაობა შობადობაზე მაღალია და ახალშობილთა რაოდენობა მშობელთა თაობაზე ნაკლებია.

3.

ჩინეთი, ინდოეთი, ავღანეთი, ნიგერია, ლაოსი, ჩილე, პაკისტანი, ბრაზილია, ბოლივია, ბანგლადეში.

4.

განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე, ცხოვრების მაღალი ხარისხი, განათლების შესაძლებლობები, რაც თავისთავად განაპირობებს 30-35 წლამდე შრომისუნარიანი მოსახლეობის ჩართულობას, გვიან ქორწინებასა და შვილების რაოდენობის სიმცირეს. ეს კი გამოწვეულია დროთა განმავლობაში ცხოვრების დონის გაუმჯობესებისკენ სწრაფვით.

5.

განვითარებულ ქვეყნებში დამახასიათებელია გვიანი ქორწინებები, რაც შვილოსნობის შემცირების წინაპირობაა, ამის შედეგად მოსახლეობა არ იზრდება. განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური სიტუაცია არასახარბიელოა, ასევე განათლების დონეც დაბალია, შემცირებულია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაც, ხდება ადრეული ქორწინებებიც, რაც, თავისთავად, ხელს უწყობს მოსახლეობის სწრაფ ზრდას.

6.

მოცემულ გრაფიკზე ნათლად ჩანს 1950-1955 წლების განსხვავებულობა 2000-2005 წლებთან შედარებით. ის საგრძნობლად შემცირებულია და განიცდის დაღმავლობას, თუმცა, ნაკლებად განვითარებად ქვეყნებს ამ წლების განმავლობაში სტაბილურად დაბალი პოზიციები უჭირავს. საქართველოს შემთხვევაში 1950-1955 წლებიდან 1970-1975 წლებში, მკვეთრი ცვლილებაა. ეს განპირობებულია ქვეყნის მაქსიმალური ჩართულობით ინდუსტრიულ მეურნეობაში, რამაც შეზღუდა მოსახლეობის ზრდის პროცესი. 1975 წლის შემდეგ აღინიშნება კლება, მაგრამ არამკვეთრად.

§ 5 დემოგრაფიული გადასვლა

1.


ფაზების გადასვლის მიზეზია წლების განმავლობაში ის გარდამავალი პროცესები, რომლებიც მიმდინარეობდა მსოფლიოს როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ასეთი ფაზების გადასვლა მნიშვნელოვნად ასახავს მოსახლეობის ცვლილებას დროსა და ტერიტორიულ სივრცეში. აუცილებელია აღინიშნოს მეხუთე ფაზა, რომელიც წინაპირობაა დეპოპულაციისათვის. დღესდღეობით ამ ფაზაშია ევროპის განვითარებული ქვეყნების ნაწილი.

2.

ა) მინათმოქმედებამ და მესაქონლებამ.

3.

ა)



ბ) მოცემული ცხრილის მიხედვით დემოგრაფიული აფეთქება დაიწყო 1950 წლიდან.

გ) დემოგრაფიული აფეთქების მიზეზებია: მეორე მსოფლიო ომის დამთავრება, ინდუსტრიალიზაციის აღმავლობა, მეტი შრომითი რესურსის გაჩენა და დემოგრაფიული პოლიტიკის არასტაბილურობა აზიისა და აფრიკის ქვეყნებში.

დ) დემოგრაფიული აღმავლობით გამოირჩევა აზია და ლათინური ამერიკა, დაღმავლობით – ევროპა და ავსტრალია-ოკეანეთი.

§ 6 დემოგრაფიული პოლიტიკა

1.

ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნებია: საფრანგეთი, ავსტრია, ფინეთი, შვედეთი, გერმანია, იტალია, დიდი ბრიტანეთი და სხვ.

2.

გ) საფრანგეთი

3.

იქიდან გამომდინარე, რომ ევროპა განიცდის დეპოპულაციას, აქ ტარდება ისეთი დემოგრაფიული პოლიტიკის წამახალისებელი ღონისძიებები, რომლებიც მშობლებს ეხმარება მრავალშვილიანობის მოტივაციაში, კერძოდ ესაა: საკომუნიკაციო შეღავათები, სწორად დაგეგმილი და გათვლილი დაზღვევა და სხვა; ხოლო აზიურ ქვეყნებში, დემოგრაფიული აფეთქებიდან გამომდინარე ტარდება ისეთი პოლიტიკა, რომელიც იწვევს მოსახლეობის შობადობის შეზღუდვას. მაგალითად, ჩინეთში, ხორციელდებოდა „ერთი შვილის“ პოლიტიკა.

4.

ინდოეთში მოსახლეობის სწრაფი ზრდა გამოიწვია სოციალური მდგომარეობისა და, განათლების დაბალმა დონემ ასევე რელიგიამ.

გავატარებდი ამ ღონისძიებებს: ა) სახელმწიფომ იზრუნოს დემოგრაფიული და განათლების დონის ამაღლებაზე; ბ) ახალშექმნილ ოჯახებს უფასოდ ჩაუტარდეს ტრენინგები ან დაურიგდეთ საინფორმაციო ფლაერები, სადაც ყურადღება გამახვილებული იქნება უსაფრთხო სამედიცინო მედიკამენტებზე, ან კონტრაცეპტივებზე; გ) სახელმწიფომ წამახალისებელი პოლიტიკა გაატაროს იმ ოჯახებისთვის, სადაც ითვალისწინებენ კანონს ერთი შვილის შესახებ.

5.

შეიძლება სახელმწიფომ წახალისების მიზნით შეიმუშაოს სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებები, მაგალითად, განთავისუფლება კომუნალური გადასახადებიდან, უფასო სადაზღვევო პაკეტი, ფულადი დახმარება, საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფა და ა.შ.

§ 7 მიგრაცია

1.

შრომითი მიგრაციები

2.

რეპატრიაცია

3. ქვემოთ მოყვანილი სქემა (შემუშავებულია შანხაის უნივერსიტეტის პროფესორ გაი აბელის მიერ) გვიჩვენებს მიგრაციას მსოფლიოს რეგიონებში 1960 წლიდან 2015 წლამდე.

ამ საიტზე: <https://blog.revolutionanalytics.com/2018/06/global-migration-animated-with-r.html> ანიმაციურ დიაგრამაზე ასახულია მიგრაციული ნაკადები თითოეული რეგიონისთვის. დიაგრამიდან ჩანს, რომ მიგრაციამ მსოფლიო მასშტაბით პიკს მიაღწია 2005-2010 წლებში და შემცირდა 2010-2015 წლებში.

მიგრანტების რაოდენობა მსოფლიო რეგიონების მიხედვით:

აფრიკა: მიგრანტების საერთო რაოდენობა – 12 მლნ. ადამიანი

კონტინენტის შიდა მიგრაციული ნაკადის სიდიდე – 6 მლნ. ადამიანი

გარე მიგრაციული ნაკადების სიდიდე – 5 მლნ. ადამიანი

ევროპა: მიგრანტების საერთო რაოდენობა – 14 მლნ. ადამიანი

კონტინენტის შიდა მიგრაციული ნაკადის სიდიდე – 5 მლნ. ადამიანი

გარე მიგრაციული ნაკადების სიდიდე – 9 მლნ. ადამიანი

აღმოსავლეთ ევროპა/ცენტრალური აზია:

მიგრანტების საერთო რაოდენობა – 9 მლნ. ადამიანი

კონტინენტის შიდა მიგრაციული ნაკადის სიდიდე – 6 მლნ. ადამიანი

გარე მიგრაციული ნაკადების სიდიდე – 3 მლნ. ადამიანი

დასავლეთ აზია: მიგრანტების საერთო რაოდენობა – 11 მლნ. ადამიანი

კონტინენტის შიდა მიგრაციული ნაკადის სიდიდე – 5 მლნ. ადამიანი

გარე მიგრაციული ნაკადების სიდიდე – 9 მლნ. ადამიანი

სამხრეთ აზია: მიგრანტების საერთო რაოდენობა – 13 მლნ. ადამიანი

კონტინენტის შიდა მიგრაციული ნაკადის სიდიდე – 4 მლნ. ადამიანი

გარე მიგრაციული ნაკადების სიდიდე – 9 მლნ. ადამიანი

აღმოსავლეთ აზია: მიგრანტების საერთო რაოდენობა – 11 მლნ. ადამიანი

კონტინენტის შიდა მიგრაციული ნაკადის სიდიდე – 6 მლნ. ადამიანი

გარე მიგრაციული ნაკადების სიდიდე – 5 მლნ. ადამიანი

ოკეანეთი: მიგრანტების საერთო რაოდენობა – 1,5 მლნ. ადამიანი

რეგიონიდან გარე მიგრაციული ნაკადების სიდიდე – 1,5 მლნ. ადამიანი

ლათინური ამერიკა: მიგრანტების საერთო რაოდენობა – 8 მლნ. ადამიანი

კონტინენტის შიდა მიგრაციული ნაკადის სიდიდე – 2 მლნ. ადამიანი

გარე მიგრაციული ნაკადების სიდიდე – 6 მლნ.ადამიანი

ჩრდილოეთი ამერიკა: მიგრანტების საერთო რაოდენობა – 7 მლნ.ადამიანი

კონტინენტის შიდა მიგრაციული ნაკადის სიდიდე – 1 მლნ.ადამიანი

გარე მიგრაციული ნაკადების სიდიდე – 6 მლნ.ადამიანი

4.

№	მტკიცებულება	კი	არა
1	ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობაზე გავლენას ახდენს მიგრაცია, რომელიც მხოლოდ ემიგრაციის ხარჯზე მიმდინარეობს.	კი	
2	შიდა მიგრაციისას მოსახლეობა გადაადგილდება ქვეყნის შიგნით.	კი	
3	მიგრაცია გავლენას ახდენს ასაკობრივ და ეროვნულ შედგენილობაზე.		არა
4	საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსახლეობა ქაოსურად განლაგდა მხოლოდ ქალაქებში.		არა

5.

დ) 18 დეკემბერი

6.

ა) მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სამუშაოს საძებნელად მაღალ განვითარებულ ქვეყნებში მიემგზავრებოდნენ, რაც დიაგრამაზე კარგად ჩანს. ეს ქვეყნები მდებარეობს ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ამ კონტინენტების გარდა ახალი ინდუსტრიული ქვეყნებია წამყვანი, კერძოდ კი არაბული სახელმწიფოები;

ბ) არაბულ სახელმწიფოებში შრომითი მიგრაციების ზრდა გამოწვეულია ნავთობის მოპოვებით. რეგიონს დასაქმებისთვის სჭირდება იაფი მუშახელი, რაც თავისთავად დაბალი განვითარების ქვეყნების მოსახლეობისათვის ფულადი შემოსავლების გზაა.

7.

ა) 2) 2010.

ბ) 2013 წელს შემოვიდა 482 ათასი კაცი, ხოლო გავიდა 186 ათასი, ანუ 482 ათასი – 186 ათასი = 296 ათასს კაცს. მიგრაციის სალდოა 296 ათასი კაცი.

გ) 2008 წელს შემოვიდა 282 ათასი კაცი, გავიდა 40 ათასი. ეს იმას ნიშნავს, რომ მიგრაციის სალდოა $282\ 000 - 40\ 000 = 242$ ათასი კაცი, ხოლო 2012 წლისათვის ეს არის 418 ათასი – 123 ათასი კაცი = 295 ათასი კაცი მიგრაციის სალდო. მაშასადამე, 2008 და 2012 წლებში მიგრაციის სალდო თანაბარია, რაც იმას ნიშნავს, რომ გასული და შემოსული მოსახლეობის სხვაობა მხოლოდ რაოდენობაში იყო, მაგრამ მათ შორის ბალანსი მხოლოდ სალდოთი განისაზღვრება.

8.

ა) 1. არ ვეთანხმები; 2. არ ვეთანხმები; 3. ვეთანხმები; 4. ვეთანხმები.

ბ) ქვეყანაში შემოვიდა სულ $20786 + 6996 = 27782$ კაცი. გავიდა სულ $23701 + 2682 = 26383$ კაცი. სხვაობა მიგრაციის სალდოში, $27782 - 26383 = 1399$ კაცი.

§ 8 მსოფლიო მეურნეობა

1.

ამ კომპონენტების სხვაობების კლასიკური მაგალითია ჩვენი ქვეყანა. საქართველომ წლების განმავლობაში განიცადა ყველა სამეურნეო ცვლილება და გაიარა ყველა საზოგადოებრივი წყობილება, მათ შორის სოციალიზმისა და და კაპიტალიზმის ეპოქებიც. ამ პერიოდმა დიდი გავლენა მოახდინა ეკონომიკაზე, განიცდიდა როგორც აღმავლობას გარკვეულ დარგებში, ასევე ერთგვარ დეგრადაციას. ეს აისახებოდა პერიოდულად როგორც სოფლის მეურნეობის განვითარებასა და ჩართულობაზე (ხდებოდა მთიანი რეგიონების ათვისებაც), ასევე ინდუსტრიალიზაციაში. ვითარდებოდა ქარხნები და ფაბრიკები. მნიშვნელოვანი ტერიტორიული სივრცითი გავრცელება პოვა ტურიზმმა, რომელმაც მოიცვა ჩვენი ქვეყნის რეგიონები და დღესდღეობით სახელმწიფოსთვის წამყვანი დარგია.

2.

მატერიალური დარგები	არამატერიალური დარგები
მრეწველობა	განათლება
მშენებლობა	მედიცინა
ვაჭრობა	ჯანდაცვა

3.

მატერიალური წარმოება პირდაპირ კავშირშია მატერიალურ კეთილდღეობასა და მომსახურების შექმნასთან, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანისა და საზოგადოების გარკვეულ მოთხოვნებს. ის დაფუძნებულია არამატერიალურ წარმოებაზე, რადგან იყენებს ცოდნის დარგებს, ტექნიკასა და ტექნოლოგიებს.

4.

ბ) ენიაკი.

5.

საქართველო, ყაზახეთი, სომხეთი.

6.

ა) მშპ-ს საბაზრო ღირებულება არის 285 მლრდ.

ბ) მშპ = $1500 \cdot 813$ მლნ. + $1000 \cdot 9$ მლნ. = 285 მლრდ.

7.

ცვლილება გამოიწვია 2017-დან 2021 წლებში მიმდინარე პროცესებმა, რაც განპირობებული იყო როგორც ფასების ზრდით, ასევე ინფლაციით. მსოფლიო მასშტაბით ამას დაემატა კორონავირუსი, რამაც საქართველოს ეკონომიკასაც დიდი ზარალი მიაყენა. რაც შეეხება ზრდა არის თუ კლება, 2017 წელს იყო 40.8, ხოლო 2021-ში – 43.

$$\frac{43 - 40.8}{40.8} \cdot 100 = 5.39\%$$

ეს კი იმას ნიშნავს, რომ დროის მიხედვით მინიმალურად არის გაზრდილი მშპ მიმდინარე ფასებში.

8.

გერმანია და არგენტინა	თურქეთი და ინდოეთი	იტალია და ბრაზილია
გერმანია განვითარებულია, მაღალია ჰუმანური ინდექსი, ცხოვრების ხარისხის დონე და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. არგენტინა განვითარებადი ქვეყანაა. მცირეა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და განათლების დონე არაა ისეთი მაღალი როგორც გერმანიაში.	ამ ქვეყნებს შორის განსხვავება ის არის, რომ თურქეთი მიეკუთვნება განვითარებულ ქვეყნებს, ხოლო ინდოეთი განვითარებადს და არა გარდამავალს. თურქეთი მშპ-ით 1 სულ მოსახლეზე წინ არის ინდოეთთან შედარებით, თუმცა საერთო მაჩვენებლით ინდოეთია წინ. ამასთან თურქეთში დემოგრაფიული პოლიტიკა არ ტარდება, ხოლო ინდოეთში დღემდე მიმდინარეობს.	იტალია განვითარებული პოსტინდუსტრიული ქვეყანაა, ხოლო ბრაზილია – ინდუსტრიული. მისი ჰუმანური განვითარების ინდექსი დაბალია ვიდრე იტალიისა. ბრაზილია გამოირჩევა მოპოვებითი მეურნეობით, ხოლო იტალია – მომსახურების სფეროთი.

9.

განვითარებული ქვეყნები	განვითარებადი ქვეყნები	გარდამავალი ქვეყნები
ფაქტობრივად, განვითარებულია ყველა ქვეყანა, რომელიც დიდ ოცეულში შედის: აშშ, გერმანია, საფრანგეთი, კანადა, ავსტრია, შვეიცარია, შვედეთი, იტალია და ა.შ.	განვითარებადი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება: ინდოეთი, არგენტინა, ჩილე, ავღანეთი, აფრიკის ქვეყნები, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გარდა.	გარდამავალი განვითარებადი ქვეყნები, ფაქტობრივად ყველა ის ქვეყანაა, რომელიც შედიოდა სსრკ-ის შემადგენლობაში. ესენია: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი და ა.შ.

რაც შეეხება განვითარებადიდან განვითარებული ქვეყნების ჯგუფში გადასვლას, სავარაუდოდ, შეძლებს ბრაზილია, არგენტინა, ჩილე, კორეა და ახლო მომავალში გადავა განვითარებული ქვეყნების სტატუსზე, რადგან აქ სწრაფი ტემპით ვითარდება მეურნეობის სხვადასხვა ნამყვანი დარგები, ასევე წინ მიდის ტექნოლოგიები, მედიცინა და განათლების სისტემა.

ჰუმანური განვითარების ინდექსი		
მაღალი	საშუალო	დაბალი
აშშ	ბრაზილია	სომალი
კანადა	ჩინეთი	ჩადი
კატარი	მექსიკა	კონგო
ავსტრია	ვენესუელა	ეთიოპია
საფრანგეთი	მადაგასკარი	ნიგერია

§ 9 მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა


1.

1) მატერიალური – სოფლის მეურნეობა; 2) მატერიალური – კვების მრეწველობა; 3) არამატერიალური – ტრანსპორტი; 4) მატერიალური – ვაჭრობა.

2.

მეხუთეული დარგია უმაღლესი რანგის თანამდებობის პირების მომსახურება. ის მნიშვნელოვანი თანამედროვე დარგია, რადგან მისი მეშვეობით მყარდება დარგებს შორის ურთიერთკავშირი, რეალიზაცია, ექსპორტ-იმპორტი. მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების საფუძველზე კი ქვეყნებში შემოდის სტრატეგიული ინვესტიციები, რაც ნებისმიერი ქვეყნისთვის წარმატების საწინდარია ეკონომიკის ზრდისა და განვითარებისათვის.

3.



4.

წიაღისეულის მოპოვებით ვიღებთ იმ ნედლეულს, რომელიც უზრუნველყოფს მშენებლობისთვის საჭირო ყველა მასალას. თავად მშენებლობა შენობა-ნაგებობების აშენება/განახლებით არის დაკავებული. ერთ-ერთი ნაგებობა შესაძლებელია იყოს სასტუმროც, ხოლო სასტუმრო ემსახურება ტურიზმის სფეროს, რადგან სწორედ მასზეა დამოკიდებული ტურისტების განთავსება და მომსახურება. ამიტომ ეს დარგები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

5.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი რესურსი **მანგანუმი** მოიპოვება მდინარე **ყვირილის** აუზში, **ჭიათურის** მუნიციპალიტეტში. მისი მოპოვების გამო მდინარე **ყვირილისა** და მისი შენაკადების ხეობები ძლიერ დაბინძურებულია. **მანგანუმი** გამოიყენება **მძიმე** მრეწველობაში, კერძოდ კი – **შავ მეტალურგიაში**. მის ბაზაზე შეიქმნა ნიკო ნიკოლაძის სახელობის **ფეროშენადნობთა** ქარხანა ქალაქ **ზესტაფონში**, რომელიც დღესაც მოქმედა და დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში.

6.

ქვეყნები	კონტინენტები	მეურნეობის წამყვანი დარგები
აშშ	ჩრდილოეთი ამერიკა	ნავთობის მოპოვება, ოქროს წარმოება, მანქანათმშენებლობა, ხორბლის წარმოება, მომსახურების სფერო, ელექტროენერგეტიკა, მძიმე და ფერადი მეტალურგია
გერმანია	ევროპა, დასავლეთი ევროპა	ქვანახშირის მოპოვება, მანქანათმშენებლობა (ავტომანქანათმშენებლობა), მედიცინა ფარმაცევტული წარმოება, ელექტროენერგეტიკა, მძიმე მეტალურგია.
რუსეთი	ევრაზია	ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება, ოქროს წარმოება, ხორბლის წარმოება, ქვანახშირის მოპოვება, ელექტროენერგეტიკა, მძიმე და ფერადი მეტალურგია.
იაპონია	აზია, აღმოსავლეთი აზია	ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა – ავტომანქანათმშენებლობა, ელექტრო მონყობილობები და ტექნოლოგიები, ელექტროენერგეტიკა.
სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა	აფრიკა, სამხრეთი აფრიკა	ალმასის მოპოვება, ურანის წარმოება; აქ უმეტესად წამყვანია სწორედ ეს მოპოვებითი დარგები.

7.

დარგები	მეურნეობის სფერო	დარგები	მეურნეობის სფერო
პირველადი	ტრანსპორტი	პირველადი	მშენებლობა
	სოფლის მეურნეობა		სატყეო მეურნეობა
მეოთხეული	მომსახურება	მეხუთეული	შემოქმედებითი საქმიანობა
	შემოქმედებითი საქმიანობა		უმაღლესი თანამდებობის პირები
მეორეული	უმაღლესი თანამდებობის პირები	მესამეული	სოფლის მეურნეობა
	მშენებლობა		მომსახურეობა

8.

აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ქვეყნებში მაღალ დონეზეა მეურნეობის ყველა დარგი. თუმცა დიდი წვლილი მიუძღვის ტურიზმს, მომსახურების სფეროს, მედიცინასა და განათლებას. განვითარებად ქვეყნებში კი წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა. ამ ბოლო წლებში წინ წამოინია მრეწველობის ზოგიერთმა დარგმაც (მძიმე მრეწველობა, მოპოვებითი მრეწველობა და სხვ.).

9.

რუკაზე, სასურველია, მოინიშნოს ქვეყნები: აშშ, გერმანია, ბრაზილია, სპარსეთის ყურის ქვეყნები, ვენესუელა, გაერთიანებული სამეფო, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სადაც არის მოპოვებითი მეურნეობის ნედლეული: ნავთობი, ქვანახშირი, ფერადი ლითონები, ბუნებრივი აირი, ალმასი, ურანი.

§ 10 სოფლის მეურნეობა

1.

მსოფლიოს სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის დასაქმება 1991 წლიდან – 2017 წლამდე მცირედ იცვლება. აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში დასაქმებულთა დიდი ხვედრითი წილი მოდის განვითარებად ქვეყნებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ ეკონომიკის წამყვანი დარგი სწორედ სოფლის მეურნეობაა.

2.

მარცვლეული და ტექნიკური კულტურები, მეკარტოფილეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა.

3.



4.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზეა მეფრინველეობა განვითარებული. მელორეობასაც ყველგან მისდევენ, გამონაკლისია ზემო აჭარა და ქვემო ქართლი, მთიან ადგილებში კი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავთ მოშენებული. დასავლეთ საქართველოში გავრცელებულია სარძევე, ხოლო აღმოსავლეთში – მსხვილფეხა საქონლის მეურნეობა. საქართველოში მეცხვარეობას, მეთევზეობასა და მეფუტკრეობასაც მისდევენ.


5.

ა) ასეთი რადიკალური განსხვავება გამოკვეთილია განვითარებად ქვეყნებში, რადგან აქ სოფლის მეურნეობა წამყვანი სფეროა;

ბ) საქართველოს ეკონომიკაში წამყვანია სოფლის მეურნეობა;

გ) ამ ქვეყნებიდან ჯამში სოფლის მეურნეობას უჭირავს 58.8%. აქედან განვითარებადზე მოდის 50.4 %, რაც იმას ნიშნავს, რომ განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის სახეს განსაზღვრავს სოფლის მეურნეობა.

6.



7.

სასურველია, კონტურულ რუკაზე მოსწავლეებმა აღნიშნონ ევროკავშირის ქვეყნები, ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, აშშ, კანადა, ავსტრალია, უკრაინა, თურქეთი, პაკისტანი.

8.

ა) ეს განპირობებულია იმით, რომ აზიისა და აფრიკის ზოგიერთი ქვეყანა კრძალავს ღორის ხორცის გამოყენებას რელიგიის გამო (მაგალითად, ისლამი);

ბ) ეს ქვეყნებია: ირანი, ერაყი, ქუვეითი, სომალი, ეთიოპია;

9.

სოფლის მეურნეობა მჭიდროდ უკავშირდება გეოგრაფიულ გარემოს, ბუნების ისეთ კომპონენტებს, როგორცაა რელიეფი, ნიადაგი და ჰავა. სოფლის მეურნეობის გეოგრაფიის კვლევის მთავარი მიმართულებაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზოგადი განლაგება და ტერიტორიული ორგანიზაცია, მიწის რესურსების გეოგრაფია, სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგების გეოგრაფია. მთავარი პრაქტიკული მნიშვნელობაა სოფლის მეურნეობის წარმოებისა და ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური და ეკონომიკური პრობლემების, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების გზებისა და ფორმების, რაციონალური ბუნებათსარგებლობის, სურსათ-სანოვაგის უსაფრთხოება და მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან სოფლის მეურნეობის მოქმედება გეოგრაფიულ გარსზე გლობალურია და მოიცავს ყველა იმ რეგიონს სადაც მის დარგები აქტიურად ვითარდება.

10.

წინარეცოდნის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მესაქონლეობას აქვს, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. უარყოფითია როდესაც ხდება მასიური გადაძოვება და ამას უკავშირდება მინდვრების ტერიტორიის გაუდაბნობა. მაგალითად კახეთის ადმინისტრაციული ერთეულის სამხრეთული ნაწილი. ასევე ტკეპნიან ზოგ რაიონებში ნიადაგს და ხდება ნიადაგის გარეგნული ფაქტორის მიერ დაზიანება. დადებითია როდესაც ამავე დროს აფხვიერებს ნიადაგს ფეკალიებით, შემდეგ ხდება დაჟანგვა და ნახშირბადის ციკლში ჩართვა, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ბუნებრივი პროცესებისათვის. სინთეზი რომელიც ქმნის ერთგვარ წრედს მესაქონლეობასთან დაკავშირებით ასევე ასახულია ვიდეოში, სადაც ნათლად ჩანს ამ სოფლის მეურნეობის დარგის დადებითი მხარეები.

<https://www.beefcentral.com/news/animations-help-debunk-myths-about-red-meats-environmental-impact/>

§ 11 „მწვანე რევოლუცია“

1.

„მწვანე რევოლუციის“ შედეგად წარმოებული პროდუქცია ადამიანებს უზრუნველყოფს საკვები პროდუქტებით. სწორედ ამ სფეროსა და პროდუქტთან არის დაკავშირებული აგროკულტურების გამოყვანა, რამაც დიდი აღიარება მოიპოვა მთელს მსოფლიოში.

2.

ა) ინტენსიური სოფლის მეურნეობა მოითხოვს მიწების უზრუნველყოფას სასუქებით. ეს რუკები გვიჩვენებს, სწორედ ამის საფუძველზე რომელმა ქვეყანამ გაზარდა პესტიციდების გამოყენება.

ბ) მოსწავლემ კონტურულ რუკაზე აღნიშნოს ქვეყნები: აშშ, ბრაზილია, ჩინეთი, არგენტინა, იაპონია, ევროპის ზოგიერთი ქვეყანაც.

3.

პესტიციდების მოხმარებას უარყოფითი შედეგები მოსდევს, რადგან ეს ნივთიერებები იხსნება მიწისქვეშა წყლებში, აგრეთვე ნიადაგის საშუალებით შეინოვება მცენარეების მიერ, ნაწილი ორთქლდება და ერევა ჰაერს, რაც იწვევს გარემოს დაბინძურებას.

4.

მწვანე რევოლუციის შედეგად მრავალი უარყოფითი ზემოქმედება მოხდა გეოგრაფიულ გარსზე, რაც თავისთავად იწვევს გეოგრაფიული გარემოს მდგრადობის პრინციპების დარღვევას. აუცილებელია გონივრული ჩართულობა და მდგრადი ბუნებათსარგებლობა. რათა ნიაღისეულის არარაციონალურმა მოპოვებამ, ქიმიური პროდუქტების ზემოქმედებამ, საზოგადოების მოთხოვნების გაზრდამ და ა.შ. კიდევ უფრო არ გააუარესოს პლანეტის მდგომარეობა. ამასთან, საჭიროა იმ პრინციპების მართვა, რომელიც ხელს შეუწყობს სუფთა ჰაერის, წყლის, ნიადაგისა და ცოცხალი სამყაროს შენარჩუნებას. ეს კი საშუალებას მოგვცემს იმ ურთიერთკავშირის გამყარებას, რომელიც წლების განმავლობაში იქმნებოდა საზოგადოებასა, გარემოსა და მსოფლიოს ეკონომიკას შორის.

<https://sustainability.ge/sustainability-explained/>

§ 12 ნიადაგის დაბინძურება და ეროზია

1.

ნიადაგის დამაბინძურებლები	შედეგი	გადაჭრის გზები
აზოტოვანი სასუქებით	ნიადაგის დეგრადაცია და გამოფიტვა.	ბიო სასუქებზე გადასვლა
საყოფაცხოვრებო ნარჩენებით	ნიადაგის დაბინძურების კოეფიციენტის გაზრდა.	უტილიზაცია
მყავური წვიმებით	ნიადაგის დეგრადაცია და გამოფიტვა. სხვადასხვა ნივთიერებების გავრცელება ნიადაგის ფენებში.	სანარმოო შენობანაგებობებისათვის ფილტრაციის მონყობილობების დაყენება.

2.


გლობალური დათბობა გამოწვეულია ადამიანის საქმიანობით. მან შეცვალა კლიმატური პირობები. გლობალური დათბობის პროცესი იწვევს გვალვას, მაღალ ტემპერატურას, ქარიშხალს, უხვ ნალექსა და ა.შ. ეს აზიანებს და იწვევს მის დახეთქვას. თავსხმა წვიმების დროს კი ნიადაგი განიცდის აქტიურ ეროზიას, გადარეცხვას. გაუდაბნობაც ასევე უარყოფითად მოქმედებს ნიადაგის ნაყოფიერებაზე, რაც ხელს უშლის მცენარეული საფრის განვითარებას. ამიტომ კავშირი ამ ორ გეოგრაფიულ გარემოს შორის დიდია.

3.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირება გამოიწვია ინტენსიურმა დაბინძურებამ, ირი-გაციულმა ეროზიამ, რომლის დროსაც საკმაოდ დიდი ფართობები იფარება ქაობებით, ხდება დამ-ლაშება და უნაყოფო ნიადაგის ჩამოყალიბება. ამას ემატება ადამიანის მიერ ხეების უმონყალოდ ჭრა და საძოვრებად გამოყენება, რომლის დროსაც ხდება ტერიტორიის გადაძოვება მთლიანად. იზრდება გაუდაბნოების ეფექტი.

4.

მრავალწლიური კულტურების სიმცირე განპირობებულია იმით, რომ მცენარეული საფარი არ გა-ნიცდის მუდმივ განახლებას, რაც თავისთავად ამცირებს ამ კულტურების ნაყოფიერებას. ნიადაგის უმეტესი ნაწილი უჭირავს სახნავ-სათესსა და საძოვრებს, სადაც მუდმივად ხდება ნიადაგის განაყო-ფიერება. ეროზიული ნიადაგი მხოლოდ 6%-ია. ის აუთვისებელია. რაც შეეხება ტექნიკურ კულტუ-რებს ისინი ხარობენ მაღალი ტემპერატურის პირობებში, ამიტომ მათი გავრცელება ნაკლებია.



მეთოდური ლიტერატურა და ინტერნეტრესურსები

ზოგადი განათლების რეფორმა

<https://mes.gov.ge/content.php?id=12326&lang=geo>

კომპლექსური დავალების ბანკი

https://www.youtube.com/channel/UCH9Fh-JgnRaYyIXG9_sD9Jg/featured

გეოგრაფიის გზამკვლევი

<https://mes.gov.ge/uploads/files/gzamkvlevi/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%90.pdf>

ტელესკოლა

<https://www.youtube.com/channel/UCTnUSFr63wePVSiEvi7AUuw>

გეოგრაფიის კომპლექსური დავალებების ბანკი

https://www.el.ge/articles/project_tasks/4/10

გეოგრაფიული საიტები:

<https://www.nationalgeographic.com>

GOOGLE EARTH

<https://earth.google.com/web/>

გეოგრაფია სახლში

<https://www.rgs.org/schools/teaching-resources/geography-at-home-worksheets/>

მსოფლიო და მე The World population and me (გეოგრაფიული თამაში)

https://www.ined.fr/en/everything_about_population/population-games/world-population-me/

რამდენ ხანს ვიცოცხლებ (მოსახლეობის კალკულატორი)

<https://population.io/>

მსოფლიო მოსახლეობის ისტორია

<https://worldpopulationhistory.org/map/1/mercator/1/0/25/>

მსოფლიოში იმიგრანტთა და ემიგრანტთა რუკები

<https://www.migrationpolicy.org/programs/data-hub/maps-immigrants-and-emigrants-around-world>

„Definitions of Population Policy Variables“

https://www.un.org/en/development/desa/population/publications/pdf/policy/WPP2013/Chapters/d_Definitions%20of%20Population%20Policy%20Variables.pdf

“Population Policy and the Demographic Transition: Performance, Prospects, and Options“

<https://www.jstor.org/stable/41762407>

<https://orjerori.ge/samoqalaqo/politikuri-ideologiebi>

ანიმაციები ხელს უწყობს მითების განადგურებას წითელი ხორცის გარემოზე ზემოქმედების შესახებ

<https://www.beefcentral.com/news/animations-help-debunk-myths-about-red-meats-environmental-impact/>

გლობალური მიგრაციული ნაკადების (2010-2015)

<https://blog.revolutionanalytics.com/2018/06/global-migration-animated-with-r.html>

